შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№4 (9.569)

9-15 თებერვალი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

10 მილიონიანი რეაბილიტაცია

დედოფლისწყარო-თბილისის ცენტრალური მაგისტრალის სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დაწყებულია. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა განუცხადა.

გზის ასფალტსაფარი სილნალის მუნიციპალიტეტში მდებარე ე.წ. ტრაქტორამდე ცენტრალურ მაგისტრალზე შეიცვლება. რეაბილიტაციის პროექტი საერთო ჯამში 21,3 კილომეტრიან გზას მოიცავს. მასზე მთლიანად 9 800 000 ლარი დაიხარჯება.

„საგზაო დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში უკვე გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია, რომელმაც სამუშაოები უკვე დაიწყო. ამაში არ შედის ქედების ზონასთან დამაკავშირებელი გზა. ჩემი ინფორმაციით, მასზე სხვა პროექტი შედგება,“ — განმარტა გაზეთ „შირაქთან“ საუბარში გამგებელმა.

დედოფლისწყაროს გამგეობის პრესმდივნის მაკა სულაშვილის განმარტებით, ტენდერში შპს „გზამშენი-4“-მა გაიმარჯვა, ამდენად, სარეაბილიტაციო სამუშაოებს სწორედ ეს კომპანია განახორციელებს.

წლის ბოლომდე იგეგმება ასევე ქედების ზონასთან და სოფელ საბათლოსთან დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. საზღვრისპირა სოფლებში გადაადგილება ათეულობით წელია პრობლემას წარმოადგენს და საკმაოდ მძიმე ვითარებაშია. ადგილობრივები გამუდმებით გზის მოწესრიგებას ითხოვდნენ.

დედოფლისწყაროს თვითმმართველობის ორგანოში მიიჩნევენ, რომ ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია ძალზე მნიშვნელოვანია. დედოფლისწყაროში მასშტაბური პროექტების განხორციელება და საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრა რეგიონული გავითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან პარლამენტის წევრის ალექსანდრე თამაზაშვილის შუამდგომლობით დაიგეგმა.

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყაროელი მუშები ხელფასს უშედეგოდ ითხოვენ

დაპირისპირება ტენდერში გამარჯვებულ სარეაბილიტაციო სამუშაოების მწარმოებელ კომპანიასა და დედოფლისწყაროელ მუშებს შორის არ ცხრება. დავის საგნად ხელფასების თვეობით დაგვიანება იქცა. უკვე მეექვსე თვეა, დედოფლისწყაროში, საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებაზე დასაქმებული მუშები სახელფასო დავალიანების დაფარვას ითხოვენ. ისინი შპს „გრიმლაინს“ მიმართავენ, რომ თუ დავალიანების დაფარვა დროულად არ მოხდება, სასამართლოში სარჩელს შეიტანენ. გაზეთი „შირაქი“ პრობლემით დაინტერესდა და მხარეებს გაესაუბრა.

მუშების განცხადებით, დამქირავებელი კომპანიის სახელფასო დავალიანებამ 22 ათას ლარს მიაღწია. მათივე მტკიცებით, კომპანიის მიერ დაქირავებულმა მუშებმა საქმიანობა, რომელიც დედოფლისწყაროს შვიდ ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის აღდგენა-რეკონსტრუქციას მოიცავდა, ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში დაასრულეს. ამის მიუხედავად, სახელფასო დავალიანება ამ დრომდე არ დაფარულა.

როგორც დაზარალებული მუშები ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებენ, შპს „გრიმლაინის“ ხელმძღვანელს ირაკლი ძნელაძეს და ადგილობრივ წარმომადგენლებს გასული თვეების მანძილზე არაერთხელ მიმართეს, თუმცა მათგან სათანადო პასუხი ამ დრომდე ვერ მიიღეს. მათი მტკიცებით, მხოლოდ დაპირებები ისმის, საქმე კი არ იძვრის.

როგორც მათთან საუბრისას გავარკვიეთ, მუშების ნაწილი მრავალშვილიანი ოჯახის უფროსია, ნაწილიც სოციალურად დაუცველი ოჯახების კატეგორიას მიეკუთვნება. სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებს კი ოჯახის საკვებით უზრუნველყოფის პრობლემა მწვავედ უდგას, ამიტომაც თვეობით დაგვიანებულ ხელფასს ისინი ძალზე განიცდიან და ამბობენ, რომ ყოველი დღე მათთვის მნიშვნელოვანია.

მრავალი მცდელობის მიუხედავად ირაკლი ძნელაძე ჟურნალისტების სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. მუშების ნაწილი ამბობს, რომ კომპანიის ხელმძღვანელთან დაკავშირებას ვერც ისინი ახერხებენ. მათი თქმით, ძნელაძე მათთან კონტაქტს გაურბის.

„ექვს-შვიდ ქუჩაზე ვმუშაობდით. ზოგან გავარემონტეთ, ზოგან მთლიანად ახალი საკანალიზაციო სისტემა აშენდა. ხელფასი ამ დრომდე ასაღები გვაქვს. 20 მუშა ვართ დარჩენილი, ამას გარდა ნოდარ შანშიაშვილის ორგანიზაციისთვისაც დასაფარი აქვთ დავალიანება. ტელეფონზე არ გვპასუხობს, არც ისე გვაძლევენ კონკრეტულ პასუხს, თუ ასე გაგრძელდა იძულებულები გავხდებით უფლებების დასაცავად სასამართლოს მივმართოთ. აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ,“ - აღნიშნავენ უკმაყოფილო მუშები და დახმარებას ითხოვენ.

პრობლემას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხემძღვანელებიც კარგად იცნობენ, თუმცა გაზეთ „შირაქთან“ საუბარში განმარტავენ, რომ დედოფლისწყაროს გამგეობას შპს „გრიმლაინისთვის“ ფინანსური ვალდებულება ვადების დაცვით დაფარული აქვს.

დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი ამბობს, რომ ხელფასების დაგვიანება მუნიციპალიტეტის მიზეზით არ მომხდარა. მისი თქმით, ის კომპანიის ხელმძღვანელს პირადად ესაუბრა და ირაკლი ძნელაძე აღებულ ვალდებულებებს არ გაურბის.

„კომპანიამ გარკვეული ნაბიჯები ვერ გათვალა, ვადებში ვერ ეტეოდა, რის გამოც მუშახელი და ტექნიკა დაამატეს. ამან კი ხარჯები გაზარდა და გარკვეული პრობლემები წარმოიშვა, რამაც უნებურად ეს ხარვეზი გამოიწვია. მინდა გითხრათ, რომ კომპანიის ხელმძღვანელი წუხს ამ გაურკვევლობით და პირობა დადო, რომ ხელფასები დედოფლისწყაროში უახლოეს მომავალში გაიცემა. ასე რომ, მუნიციპალიტეტის მიზეზით არც ეს პროექტი შეფერხებულა და არც რაიმე სხვა,“ - აღნიშნავს საკრებულოს თავმჯდომარე.

კომპანიის ადგილობრივი კოორდინატორი ნოდარ ხატიაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ადასტურებს, რომ შეწუხებული მუშები მასთან თითქმის ყოველდღიურად მიდიან. ხატიაშვილი ამბობს, რომ როგორც კი კომპანია თანხებს მოიძიებს, პირველ რიგში დღის წესრიგში დედოფლისწყაროელი მუშების ხელფასების დაფარვა დგას.

„სახელფასო ანაზღაურების დიდი ნაწილი დაფარულია, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, მხოლოდ ბოლო პერიოდის თანხაა დასაფარი. თუმცა, დავალიანება მხოლოდ სახელფასო არ გახლავთ, ადგილზე წარმოებული ბეტონის კომპანიის თანხაც გადასახდელი აქვთ. მთავარი ისაა, რომ ხელმძღვანელობა ამ დავალიანებას აღიარებს და პასუხისმგებლობას არ გაურბის. თვის ბოლომდე უნდა მოგვარდეს. რამდენიმე დღის წინ ვესაუბრე „გრიმლაინის“ ხელმძღვანელს. ის აცხადებს, არცერთ თეთრს არ შეირჩენენ. როგორც ამიხსნეს, ამ კომპანიას რაღაც სასამართლო დავა აქვს რომელიღაც კონტრაქტორთან და უახლოეს დღეებში ელოდებიან თანხის ჩარიცხვას. მითხრეს, რომ როგორც თანხა დაჯდება, დედოფლისწყარო მაშინვე დაიფარება,“ - აღნიშნავს ნოდარ ხატიაშვილი.

როგორც მოკვლევისას „შირაქმა“ გაარკვია, ხელფასების დაგვიანება ძირითადად პროცედურულ საკითხებს, ასევე კომპანიაში წარმოქმნილ გაუთვალისწინებელ პრობლემებს უკავშირდება. შპს „გრიმლაინის“ ხელმძღვანელობა ხელფასების დაუყოვნებლივ ანაზღაურებისთვის მზაობას გამოხატავს როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან, ისე საკუთარ წარმომადგენლობასთან. ირაკლი ძნელაძის მტკიცებით, დედოფლისწყაროელთა ხელფასებს სასამართლო დავის შედეგად მიღებული თანხებით სულ მალე დაფარავს.

ილია მარტყოფლიშვილი

„ადითი“ ახალ საავადმყოფოს გაზაფხულზე გვპირდება

გვ. 5

უფასო სამედიცინო გამოკვლევები დედოფლისწყაროში

გვ. 2

ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები

გვ. 2

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი: „პოლიციამ ორი კორიდორი გააკეთა, თუმცა ოპონენტებმა ამით არ ისარგებლეს“

შს მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, “პოლიციამ ეროვნულ ბიბლიოთეკაში შესასვლელი ორი უსაფრთხო კორიდორი გააკეთა და შესთავაზა თუმცა პოლიტიკურმა ოპონენტებმა ამით არ ისარგებლეს, ისინი კონფლიქტში დემონსტრატებთან პირდაპირ შევიდნენ”.

ამის შესახებ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მისულმა ღარიბაშვილმა განაცხადა, სადაც ყოველწლიური ანგარიშით საქართველოს პრეზიდენტი უნდა გამოსულიყო.

“ქვეყნის პრეზიდენტი აპირებდა დღის 18:00 საათისთვის მიემართა საქართველოს მოსახლეობისთვის. ჩემი დავალებით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ასევე ქალაქის მთავარი სამმართველოს, გენერალური ინსპექციის აბსოლუტურად ყველა შემადგენლობა მობილიზებული იყო. ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ, პრეზიდენტის უსაფრთხოება უზრუნველგვეყო, ასევე სტუმრებისაც. ჩვენ გვქონდა ორი გზა, ორი კორიდორი გამზადებულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენმა პოლიტიკურმა ოპონენტებმა ამით არ ისარგებლეს, ისინი პირდაპირ შევიდნენ კონფლიქტში დემონსტრატებთან. შესაბამისად, ამან გამოიწვია გარკვეული შეხლა-შემოლა და ძალიან უსიამოვნო ფაქტი”, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

მოგვიანებით, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან შეკრებილმა ყოფილმა პოლიტპატიმრებმა და უფლებადამცველებმა აქციის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღეს.

როგორც უფლებადამცველმა ლევან ჩიტაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ისინი ახლა საკუთარ ოფისში წასვლასა და სამომავლო გეგმების დაწყობას აპირებენ.

ამასთან, აქციის მონაწილეების ნაწილი პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან წასვლას გეგმავს.

ეროვნულ ბიბლიოთეკასთან აქციადაიშალა და შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ტერიტორია დატოვა.

კოლორიტული პიროვნებების ათეული

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ბევრმა ქარტეხილმა გადაიარა საქართველოში. უმუშევრად დარჩენილმა ქართველთა ერთმა ნაწილმა მიატოვა მშობლიური ქალაქი და სოფელი.

ჩვენდა საამაყოდ საქართველოში დარჩნენ ადამიანები, რომლებმაც საკუთარი მხრებით ზიდეს ჩვენი ქვეყნის ყოველდღიური ტკბილ-მწარე ხვედრი. ისინი დღესაც ერთგულ მეციხოვნეთა ავანგარდში დგანან. მათთვის „არსებობს მხოლოდ ერთადერთი ნამდვილი ფუფუნება. ესაა ფუფუნება ადამიანებს შორის ურთიერთობისა,“ სწორედ ამ ნიშნით, გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ სარედაქციო საბჭოს მიერ სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლების მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გამოვლინდნენ.

საქართველოს კოლორიტული პიროვნებები:

ილია არძენიძე - ბათუმის მკვიდრი

ანზორ გელაშვილი - ბოდბისხევის მკვიდრი

მარლენ კვაჭანტირაძე - დედოფლისწყაროს მკვიდრი

ვალერიან ლომაძე - ბორჯომის მკვიდრი

ბიძინა პოპიაშვილი - დედოფლისწყაროს მკვიდრი

ასმათ ფანგაზიკიძე - ბაკურიანის მკვიდრი

გუგული ქათარაძე - მახინჯაურის მკვიდრი

ვუდო ქელეხსაშვილი - ბაკურიანის მკვიდრი

მადლენა ქუთათელაძე - ქუთაისის მკვიდრი

ტარიელ ღარიბაშვილი - დედოფლისწყაროს მკვიდრი.

გაზეთი „საქართველოს ლირიკა“

უგულავამ პროვოკაცია მოაწყო, ჩიორა თაქთაქიშვილი გაილახა - დავით უსუფაშვილი

რამდენიმე საათის წინ სიტყვით გამოსვლის შესახებ განცხადების გაკეთება იყო გამოწვევა. ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა დღეს საჯარო ბიბლიოთეკასთან მომხდარი ინციდენტების კომენტირებისას განაცხადა.

„ეს იყო მისი მხრიდან დადგმული სპექტაკლი, რომელსაც სამწუხაროდ, მოქალაქეები წამოეგენ. ვერანაირი არგუმენტი ვერ გაგვათავისუფლებს იმისგან, რომ მსგავსი პრობლემები თავიდან ავიცილოთ. თუ საჭიროა ხუთჯერ მეტი პოლიცია უნდა მივიყვანოთ ერთ ადამიანის დასაცავად. ეს ჩვენი ვალდებულებაა და ამ ნაწილში პასუხისმგებლობას არ უნდა გავექცეთ. მინდა, რომ დღევანდელი დღე იყოს გაკვეთილი ყველასთვის, ჩემი ჩათვლით, მთავრობის ყველა წევრისთვის. მე არ მივმართავ პრეზიდენტსა და უმცირესობას, აზრი დაკარგა ამ მიმართვამ, რადგან მიხეილ სააკაშვილს რაიმეს გაგება და გააზრება რომ შეძლებოდა, საქმე აქამდე არ მივიდოდა“, - განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, ეს მისი განცხადება არავითარ შემთხვევაში ვინმემ არ უნდა გაიგოს ისე, თითქოს ვინმეს აქვს უფლება ვინმე სადმე არ შეუშვას, ვინმეზე ხელი აწიოს და შეურაცხყოს.

,,ველი და შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებამ ყველას გაუჩინა იმის რწმენა, რომ ყველა დაისჯება. ჩვენ უნდა ვისწავლოთ სახელმწიფოს პატრონობა. უგულავამ პროვოკაცია მოაწყო, ჩიორა თაქთაქიშვილი გაილახა. გუშინ და დღეს მე მესმის საშინელი სიტყვები, სახიფათო სიტყვები, რომელიც დაგეგმილია. არის საუბარი პარლამენტის კონსტიტუციის ჩარჩოებიდან გამოსვლაზე, სამოქალაქო ომზე, სისხლისღვრაზე, სახიფათო სიტყვებს ხმარობს სააკაშვილი და მისი გარემოცვა და ამიტომ არის საჭირო მეტი კეთლგონიერება და სიმშვიდე“, - განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

ამნისტირებულ პირებს ჩამორთმეული მართვის მოწმობის ასაღებად გამოცდის ჩაბარება მოუწევთ

ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულ პირს, რომელსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამორთმეული ჰქონდა მართვის მოწმობა, I კატეგორიის თეორიული გამოცდის ხელახლა ჩაბარება მოუწევს. ამნისტირებულებისთვის გამოცდის პირველადი ჩაბარება უფასო იქნება.

მომსახურების სააგენტოს დირექტორის თეიმურაზ კორძაიას განცხადებით.

„ამნისტირებულმა პირებმა, ვინც გასამართლებული იყო ნარკოდანაშაულისთვის, უნდა მოიტანონ სასამართლო — სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, ექიმ—სპეციალისტის ჯანმრთელობის ცნობა, ე.წ ფორმა 100 და ამ ყველაფრის საფუძველზე საშუალება ექნებათ ჩაბარონ გამოცდა სრულიად უფასოდ, რის შემდეგაც გადაეცემათ მართვის მოწმობა,“ — განაცხადა თეიმურაზ კორძაიამ.

უფასო სამედიცინო გამოკვლევები დედოფლისწყაროში

რამდენიმე დღეში „წითელი ჯვარის“ წარმომადგენლები დედოფლისწყაროს სოფლებში სხვადასხვა სახის უფასო სამედიცინო გამოკვლევებს ჩაატარებენ.

როგორც დედოფლისწყაროს გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, უკვე მიღწეულია შეთანხმება და ამჯერად კონკრეტული თარიღის დაზუსტება მიმდინარეობს.

„ჩვენს მიერ თარიღის დაზუსტებას ელის და მზად არის დედოფლისწყაროში ჩამოვიდეს. რაც მთავარია, უნიკალური აპარატურის ჩამოტანას გეგმავენ. წინასწარი ინფორმაციით, იმდენად კარგი ხარისხის სამედიცინო აპარატურის ჩამოტანა იგეგმება, რომელიც საქართველოში ჯერ არ ყოფილა. ისინი დედოფლისწყაროს ყველა სოფელში ჩავლენ და ყველა მსურველს ექნება შესაძლებლობა, უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაიტაროს,“ — აღნიშნა ირაკლი შიოლაშვილმა.

სოფლის რწმუნებულებს თათბირზე უკვე მიეცათ მითითება, შეადგინონ სამედიცინო გამოკვლევების მსურველთა სიები, რათა თავიდან იქნას აცილებული რიგები და მასთან დაკავშირებული გაუგებრობები.

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყაროელ მოზარდებს ტრენინგები ჩაუტარდებათ

დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის უახლოეს დღეებში ტრენინგები ჩატარდება CENN-ის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება (CCADM) პროექტის ფარგლებში.

როგორც ორგანიზაციიდან გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, პროექტი ხორციელდება USAID-ის მხარდაჭერით და სოფლის მდგრადი განვითარება და გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის პროექტის, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ფაგლებში.

სოფელ ლიკანის სასტუმრო „მოციონში“, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სკოლების ეკოკლუბებისათვის მსგავსი ტრენინგები სკოლის მოსწავლეებისათვის საპროექტო წინადადების შედგენასა და სამოქალაქო აქტივობის თემაზე უკვე გაიმართა. საერთო ჯამში, არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ს პროექტის ფარგლებში, დაგეგმილი აქვს, მსგავსი ტრენინგების ჩატარება ახალციხის, საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის.

საპროექტო წინადადების შედგენის გარდა, ტრენინგის მონაწილე ბავშვები გაეცნობიან მოქალაქის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს, სამოქალაქო აქტივობის ფორმებსა და მოხალისეობის საერთაშორისო პრაქტიკას.

საპროექტო განაცხადის შედგენის თეორიული პრინციპების საფუძველზე, ტრენინგის პროცესში სამუშაო ჯგუფები შეადგენენ სამაგალითო საპროექტო წინადადებებს, ასევე მოახდენენ მათ პრეზენტაციას და დეტალურ განხილვას.

არასამთავრობო ორგანიზაციის ძალისხმევით დედოფლისწყაროს სკოლებში რამდენიმე წელია, ეკოკლუბები მოქმედებს.

ილია მარტყოფლიშვილი

ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები

გაზეთ „შირაქის“ წინა ნომერში დაიბეჭდა ილია მარტყოფლიშვილის სტატია სათაურით „ოზაანელების პრეტენზიები წყლის ხარისხთან დაკავშირებით არ მიიღება.“ აღნიშნული განცხადება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის უფროს მენეჯერს გია გოგილაშვილს ეკუთვნის, რომელმაც ეს ინფორმაცია რაიონულ თათბირზე საჯაროდ გააჟღერა. ეს ამბავი სოფელ ოზაანის მოსახლეობამ გაზეთის საშუალებით შეიტყო, რაზეც პრეტენზიები გამოთქვეს. მათი მტკიცებით, შეუიარაღებელი თვალითაც შეინიშნება, რომ ონკანის წყალი სასმელად და კერძში მოსახმარებლად ყოვლად მიუღებელია. ამიტომ, აღნიშნული სტატიის გამო აღშფოთება გამოხატეს:

- „სამი წელია, სოფელში წყალი შემოიყვანეს და ამ ხნის მანძილზე წყალი ვერა და ვერ დაიწმინდა. თავდაპირველად ამბობდნენ, რომ ახალი ქსელია, მილები დაიწმინდება და წყალიც დასუფთავდებაო, მაგრამ აგერ უკვე წლები გადის და წყალი ვერ დაწმინდავდა. ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმა, წყალგაყვანილობისთვის ახალი მაგისტრალი კი არ გაიყვანეს, არამედ ძველი, საბჭოთა დროინდელი დაჟანგებული მილები დატოვეს. ის ამორტიზებული, ჟანგიანი მაგისტრალი კი, რამდენი წელიც გინდა გავიდეს, არ გაიწმინდება. ჭიქაში რომ ჩამოვასხამთ, ზედვე ეტყობა -მოყვითალო ფერი დაჰკრავს. ხან კი, სულაც ტალახიანიც მოდის. იმას რა დაგვალევინებს?! ყოველ დღე დასალევ წყალს წყაროდან ვეზიდებით. რატომ უნდა გვაჯერებდნენ, რომ შავი თეთრიაო, როცა ასე არ არის?! ხალხს გვკითხონ, ნახონ, შეამოწმონ და დარწმუნდნენ, რომ წყალი მართლაც დასალევად მიუღებელია!“ -ამბობენ ოზაანელები.

თუ რატომ იყო დარწმუნებული საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის მენეჯერი გია გოგილაშვილი ოზაანის წყლის სისუფთავეში და რატომ გააკეთა ზემოთაღნიშნული განცხადება, ამასთან დაკავშირებით თავად გოგილაშვილს მოვმართეთ. — ამის საფუძველს სოფელ ოზაანში ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზის პასუხი გვაძლევს. ბოლო, 22 იანვარის, მონაცემით მიღებული ლაბორატორიული დასკვნა არ იძლევა ისეთ პასუხს, რომ იქ რაიმე საგანგაშოა. ოზაანის სასმელი წყლის რეგლამენტი შეესაბამება 2007 წლის 17 დეკემბრის სტანდარტებით დადგენილ წესებს. მეტსაც გეტყვით, ოზაანის წყალი თითქმის იდენტურია და თანაბარ სტანდარტებშია მოყვანილი ჩვენი ქალაქის წყლის მონაცემებთან. რაც შეეხება იმას, რომ მთავარი მაგისტრალი ძველია, რამდენადაც გავარკვიე მთავარი მაგისტრალის ნაწილი შარშან შეუცვლიათ, მხოლოდ ისევ რკინის მილით, რაც მიუღებელია. რკინის მილებში გაჩერებული წყალი ყოველთვის დაიჟანგება, თუმცა ვერ გეტყვით, რომ პლასტმასის მილიც იდეალურია. ნადების და ხავსის მოკიდების ალბათობას პლასტმასის მილშიც ვერ გავექცევით. ამ ყველაფრიდან გამოსავალს მე სოფლების სრულ გამრიცხველიანებაში და 24 საათიან წყალმომარაგებაში ვხედავ, რასაც გედიქის წყალი ვერ დააკმაყოფილებს და დამხმარე რეზერვი დასჭირდება. ამ საკითხთან დაკავშირებით მაქვს ჩემი პროექტი და მისი მონახაზი. იმ შემთხვევაში, თუ ეს პროექტი განხორციელდება და სოფლები სრულად გამრიცხველიანდება, გაჩნდება შესაძლებლობა, რომ ამ სოფლებს ჰქონდეს 24 საათიანი წყლის მომარაგება. ეს კი, თავის მხრივ, ონკანში მონადენი წყლის სისუფთავის გარანტი იქნება.“- განაცხადა გია გოგილაშვილმა.

ლალი მეხრიშვილი

ქ. დედოფლისწყარო
31.01.2013 წელი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის
გამგებლის
ბრძანება №25

სტრატეგიული ზოოანთროპონოზული ინფექციური დაავადების - ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო კერაში (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის მიწათსარგებლობის ტერიტორიაზე ადგილი „თელა წყალი“ ჭიღიტაშვილი იოსების კუთვნილი ფერმის მიმდებარე ტერიტორია) შეზღუდვების მოხსნის შესახებ

სსიპ სურსათის სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს 2013 წლის 21 იანვრის №11 მომართვის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო კერაში (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის მიწათსარგებლობის ტერიტორიაზე ადგილი „თელა წყალი“ ჭიღიტაშვილი იოსების კუთვნილი ფერმის მიმდებარე ტერიტორია), მოიხსნას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 27 ნოემბრის №577 ბრძანებით დაწესებული შეზღუდვები.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის მიწათსარგებლობის ტერიტორიაზე (ადგილი „თელა წყალი“ ჭიღიტაშვილი იოსების კუთვნილ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე ცოფის დადგენასთან დაკავშირებით) ზოოანთროპონოზული ინფექციური დაავადებისცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 27 ნოემბრის №577 ბრძანება.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „შირაქში“ და განთავსდეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.dedoplistskaro.ge)
4. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
5. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ. №15) უშუალო ზიანის მიყენებიდან სამი თვის ვადაში.

აკაკი ნატროშვილი,
მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

დასუფთავების აქცია დედოფლისწყაროში

დედოფლისყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის ინიციატივით ქალაქის დასუფთავების აქცია მოეწყო. ღონისძიებაში დედოფლისყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლისა და ქ. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის მერვე, მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. დასუფთავების აქცია სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ტერიტორიიდან დაიწყო და ქალაქის ცენტრალურ მოედანთან დასრულდა.

ყინვებთან დაკავშირებით გზებზე დიდი რაოდენობით ქვიშა დაიყარა, რამაც გამოდარების შემდეგ მტვრის წარმოქმნა გამოიწვია. ჩვენი რესურსით ქალაქის სრული დასუფთავება მოკლე დროში შეუძლებელია. მტვერი კი ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. მადლობა მინდა გადავუხადო მუნიციპალიტეტის გამგეობასა და პირადად ირაკლი შიოლაშვილს ამ ინიციატივისთვის. ასევე დიდი მადლობა სოფელ ხორნაბუჯისა და ქ. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლების დირექტორებსა და პედაგოგებს“ – განაცხადა შ.პ.ს „სერვისი–2007“–ის დირექტორმა ელიზბარ ალუღიშვილმა.

ღონისძიებაში სკოლების დირექტორებთან, პედაგოგებთან და მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი და გამგებლის მოადგილეები უშუალოდ მონაწილეობდნენ.

გამგეობის პრესსამსახური

რა პროგრამების განხორციელებას გეგმავს 2013 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ 100 დღის მუშაობა შეაჯამა. მინისტრმა ისაუბრა მიმდინარე და სამომავლო პროექტებზე, რომლებსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს. დავით კირვალიძის განცხადებით, ამ ეტაპზე სოფლის მეურნეობის სფეროში მობილიზებულია და დაგეგმილია 700 მილიონამდე ლარის დახარჯვა.

მცირემიწიანი ფერმერების დახმარების პაკეტი

სამინისტროს ცნობით, საქართველოში სასოფლო — სამეურნეო მიწის 80% არ იყო რეგისტრირებული. ამიტომ, საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში, ნოემბერ-დეკემბერში მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა მიწათმესაკუთრეთა აღწერა კარდაკარის პრინციპით. შეიქმნა საინფორმაციო ბაზა და მოხდა ადგილებზე მონაცემთა მეორადი გადამოწმება და ინფორმაციის დადარება საჯარო რეესტრთან.

„მცირემიწიანი ფერმერებისთვის შემუშავდა სხვადასხვა ტიპის დახმარების პაკეტი. საერთო ჯამში მთავრობა და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი დაეხმარება 640 000-ზე მეტ მიწის მესაკუთრეს, ვისაც საკუთრებაში აქვს 0-დან 5 ჰექტრის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. მცირემიწიანი ფერმერები სასოფლო-სამეურნეო ბარათის ფორმით მიიღებენ მათ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის კატეგორიის შესაბამის სარგებელს. სულ მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტის განხორციელების ღირებულებაა 180 მლნ ლარზე მეტი“, - აღნიშნა დავით კირვალიძემ.

პროექტს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი დააფინანსებს და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს.

სოფლის მეურნეობის მინისტრის განმარტებით, 0.25 ჰექტარზე მცირე ზომის მიწის მესაკუთრეები, რომელთა კუთვნილ ნაკვეთებშიც ტექნიკის შესვლა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, მიიღებენ 100 ლარის ღირებულების ნომინალურ სასოფლო-სამეურნეო ბარათს, რომლითაც შეეძლებათ შესაბამისი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის და ინვენტარის შეძენა;

0.25 - ჰა-დან 1.25 ჰა-ს ჩათვლით მიწათმესაკუთრეები (ეს არის ბენეფიციართა ძირითადი ჯგუფი), რომელთაც გააჩნიათ სახნავი ფართობი, მიიღებენ კომბინირებულ სასოფლო-სამეურნეო ბარათს 510 ლარის ღირებულებით 1 ჰექტარზე გადაანგარიშებით. 1 ჰა-ზე გასაცემი კომბინირებული სასოფლო-სამეურნეო ბარათი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ნიადაგის ხვნა ხნულის დადისკვა/გაფხვიერება; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონელი და ინვენტარი - 300 ლარის ღირებულებით.

ის ფერმერები, რომელთაც აქვთ ანალოგიური ზომის მრავალწლიანი ნარგაობა, მიიღებენ სასოფლო-სამეურნეო ბარათს 510 ლარის ღირებულებით 1 ჰექტარზე გადაანგარიშებით, რომლითაც შეეძლებათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლისა და ინვენტარის შეძენა მომწოდებლებისგან;

1.25-ჰადან 5 ჰა-მდე სახნავი ფართობის, ან მხოლოდ მრავალწლიანი ნარგაობის მქონე ფერმერები მიიღებენ 640 ლარის ღირებულების ნომინალურ სასოფლო-სამეურნეო ბარათს, რომლითაც შეეძლებათ მხოლოდ შესაბამისი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის და ინვენტარის შეძენა მომწოდებლებისგან;

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი

მინისტრმა აღნიშნა, რომ მთავრდება შეღავათიანი აგროკრედიტის შემუშავება, რომელიც იქნება 3 სახის საკრედიტო პროდუქტი. ესენია:

უპროცენტო სასაქონლო კრედიტი მცირე ფერმერებისთვის - 5 000 ლარამდე - უზრუნველყოფის გარეშე. მცირე ფერმერებს საშუალება ექნებათ მიიღონ უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) საწარმოო სეზონის დასაწყისში და დასრულების შემდეგ გადაიხდიან კრედიტის გაცემის მომენტისთვის დაფიქსირებულ საცალო ფასს, დამატებითი პროცენტის დარიცხვის გარეშე.

საშუალო და დიდი ფერმერების შეღავათიანი კრედიტით უზრუნველყოფა - 5 000-დან 100 000 ლარამდე - წლიური არაუმეტეს 7-8%-სა. დიდი და საშუალო ფერმერების ხელშეწყობა განხორციელდება იაფი კრედიტებით უზრუნველყოფის გზით, ვისაც 1 წელზე ნაკლები ვადით, ესაჭიროებათ 5 000 ლარიდან 100 000 ლარამდე თანხა საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. ამ ტიპის სესხებს მიიღებენ საშუალო და დიდი ფერმერები, რომლებიც არ არიან მცირე ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის ბენეფიციარები. ფერმერისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამ ტიპის სესხებზე იქნება 7%-8%-მდე.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაფინანსება გრძელვადიანი და შეღავათიანი კრედიტი არაუმეტეს 1 000 000 ლარისა - საშუალოდ წლიური 3%. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი ფუნქციონირებას დაიწყებს 2013 წლის მარტიდან.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოები

„დაფინანსდება სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რაც გულისხმობს მოსავლის აღების შემდგომი, ნებისმიერი სახის პროდუქციაზე დამატებითი ღირებულების შემქმნელი ინფრასტრუქტურის (სასაწყობე, დამფასოებელი, სამაცივრე მეურნეობები და გადამამუშავებელი საწარმოები), ასევე სხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების (თანამედროვე ფერმები, საბალახო მეურნეობები და სხვა) განვითარების ინიციატივების იაფი და გრძელვადიანი ფულადი რესურსით მხარდაჭერას. 2013 წელს ამ სქემით მხარდაჭერილი იქნება მინიმუმ 60-მდე საწარმო. მეწარმეთათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამ ტიპის სესხებზე იქნება დაახლოებით 3%. ამ წელს გაიხსნება სოფლის მეურნეობის მინიმუმ 60-მდე გადამამუშავებელი საწარმო“, - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

სხვა სიახლეები

დავით კირვალიძემ სამინისტროს სხვა სიახლეებზეც ისაუბრა. საგაზაფხულო პროგრამის ეფექტურად განხორციელების მიზნით, 2013 წლის იანვარში დაიწყო ტრაქტორისტ-მემანქანეთა გადამზადების კურსი, რომლის ფარგლებში გადამზადდება და შემდგომში დასაქმდება 900 ტრაქტორისტ-მემანქანე.

გამოიყო თანხები დამატებით 350 მძიმე ერთეულ სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის ტექნიკის შეძენაზე, 1,700 მოტობლოკზე და შესაბამისი რაოდენობის მისაბმელებზე. ახალი, თანამედროვე და მაღალი ხარისხის ტექნიკა საქართველოში საგაზაფხულო სეზონისთვის შემოვა.

დამატებით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიამ საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, ახალი, 3 მლნ 600 ათასი ლარის ღირებულების სამელიორაციო ტექნიკა შეიძინა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის ახალი სტრატეგიის მიხედვით, დაიწყო სოფლად საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების შექმნა.

გამოცხადდა ღია კონკურსი და მარტის თვის დასაწყისში დასრულდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონალური საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურების შექმნა. მთელი საქართველოს მასშტაბით - 54 მუნიციპალიტეტში 250 სპეციალისტი დასაქმდება, რომელიც ადგილზე ყოველდღიურ რეჟიმში გლეხებსა და ფერმერებს კონსულტაციებს გაუწევს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ეფექტურად განხორციელებისთვის. აჭარაშიც დამატებით გაიხსნება 5 ასეთი საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური.

2013 წლის ბიუჯეტის მიხედვით, ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციისათვის განკუთვნილი თანხა გაიზარდა 54 მილიონი ლარით (2012 წელს ირიგაციისა და დრენაჟისთვის ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 10,000,000 ლარი, ხოლო 2013 წლისთვის ეს თანხა გაიზარდა 64,400,000 ლარამდე). ამჟამად ერთდროულად მიმდინარეობს 10 არხის რეაბილიტაცია შემდეგ რაიონებში: მარნეული, გარდაბანი, მცხეთა, საგარეჯო, ქარელი, კასპი. წლის ბოლომდე მთელი საქართველოს მასშტაბით 50 სარწყავი არხი გაიწმინდება.

დავით კირვალიძემ განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან (IFAD) შემუშავების პროცესშია ახალი, ირიგაციისა და დრენაჟის პროექტი, რომელიც ასევე დაიწყება 2013 წლის შემოდგომაზე. პროექტის ღირებულება 15 მილიონ დოლარს შეადგენს. ასევე შემუშავების პროცესშია ახალი პროექტი მსოფლიო ბანკთანაც. პროექტის მოცულობა 50 მილიონ დოლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მიმართული იქნება ირიგაციისა და დრენაჟის ინფრასტრუქტურის აღდგენაზე, წყლის მოხმარებისა და მართვის გაუმჯობესებაზე, ასევე მიწის საკუთრების უფლებების დადგენა/მინიჭებასა და მიწის ბაზრის ჩამოყალიბებაზე. პროექტის განხორციელება დაიწყება 2013 წლის შემოდგომაზე.

ევროკავშირთან თანამშრომლობით შემუშავდა და უახლოეს ხანში ხელი მოეწერება სოფლის მეურნეობის განვითარების ახალ პროექტს. აღნიშნული პროექტით საქართველო მიიღებს 40 მილიონი ევროს გრანტს სოფლის მეურნეობის სექტორის გასავითარებლად. აქედან დაახლოებით ნახევარი იქნება საბიუჯეტო გრანტი, ხოლო 15 მლნ ევრო მოხმარდება სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას.

ძველი კადრი ახალ ამპლუაში

იმდენი რამ გაკეთდება, ხალხის მოლოდინს გადააჭარბებს

როცა ნაახალწლევს ივანე გიგოლაშვილი სს"კახეთის ენერგოდისტრიბუციის" დედოფლისწყაროს განყოფილების უფროსად დაინიშნა, ზოგიერთმა ტუჩი აიბზუა, ეს ვინღაა, საიდან გამოჩხრიკეს „ოცნებისტებმაო". არადა, ვინც არ იცის, მას შემიძლია ვუთხრა, რომ მან საკმაოდ საინტერესო ცხოვრება განვლო: უფროს თაობას ის ახსოვს ჯერ როგორც კარგი ფეხბურთელი, შემდეგ, როგორც მწვრთნელი და მსაჯი, ენერგეტიკის დარგის სპეციალისტებს კი - პატიოსანი, საქმის მცოდნე და ენერგიული ხელმძღვანელი.

ვანო გიგოლაშვილი ქალაქ დედოფლისწყაროში დაიბადა პართენ გიგოლაშვილის და მარუსა რევარესის ოჯახში. დედამისი ესპანელი გახლდათ. 1935-36 წლებში, ესპანეთში მიმდინარე მოვლენებისას, მისი ოჯახი კომუნისტური მრწამსის გამო რუსეთში, ქალაქ ვოლგოგრადში გადმოასახლეს. აქ ის, ძმასთან ერთად, რუსის ქალმა იშვილა და გაზარდა. ბედმა კი ბოლოს საქართველოში გადმოისროლა, რადგან თვალ-ტანად აღნაგი და მშვენიერი ქართველი ბიჭის სიყვარულს ვერსად დაემალა. პართენ გიგოლაშვილი ერთი ჩვეულებრივი, პრასიაანელი (სოფელ ტიბაანზე მიბმულ პატარა სოფელს ერქვა მაშინ ასე)ახალგაზრდა იყო, რომელიც ვოლგოგრადში სავაჭრო საქმის შესასწავლად გააგზავნა სოფლის ხელმძღვანელობამ. მან კი, დიპლომთან ერთად, მარიაც ჩამოიყვანა და... გაუკვირდა სოფელს, მაგრამ ოჯახმა თბილად მიიღო პატარძალი და კერა გაჩაღდა. პრასიაანიდან ჯერ ჯაფარიძეში, შემდეგ ქალაქ წითელწყაროში დაიდეს ბინა. პართენი თავისი სპეციალობის შესაბამისად ჯერ „საქნავთის" მომარაგებას და სამეურნეო საქმიანობას ხელმძღვანელობდა, მერე ქალაქის საზკვების ობიექტებში მუშაობდა, იყო რესტორნის დირექტორი და სხვა. მარუსა დიასახლისი იყო.ექვსი შვილი შეეძინათ, სამი გოგო და სამი ბიჭი. თუმცა, ძალიან გამწარდნენ, როცა 16-17 წლის ასაკში ერთი ვაჟი ხელიდან გამოეცალათ. დღეს ვანოს და-ძმები რუსეთში ცხოვრობენ, საკმაოდ შეძლებულადაც, ფინანსურ შემწეობას არ აკლებენ ძმას და სულ უხმობენ თავისკენ, მაგრამ ვანოს საქართველოს და მით უფრო დედოფლისწყაროს იქეთ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. მას ბებიის დანატოვარი ბინა აქვს მოსკოვში, საკუთარი ბინა აქვს თბილისშიც, მაგრამ მამა-პაპისეული კორპუსი ყველაფეს ურჩევნია. შეძლებისამებრ სტუმრობს კიდეც ამ დიდ ქალაქებს, მაგრამ გული არ უჩერდება, აქეთ მოუწევს. ერთი ნაკლი აქვს, ოჯახი არ შეუქმნია, მაგრამ მისი სახლის კარი სულ ჭრიალებს, მეზობლების და ახლობლების იმედია, ყველას ხელის გამმართავი და პატრონია.

ჯერ კიდევ სოფელ წითელწყაროს რუსულ სკოლაში სწავლისას სულ პატარა ბიჭს ფეხბურთის გამორჩეული ნიჭი და სიყვარული აღმოაჩნდა. რაიონის ნაკრების საუკეთესო მოთამაშე იყო, IX კლასში საშინელი ტრამვა მიიღო და სამუდამოდ დაემშვიდობა ფეხბურთს როგორც მოთამაშე,მაგრამ ფეხბურთის სიყვარული დღემდე გამოჰყვა. ფიზკულტურის ინსტიტუტში ფეხბურთის მწვრთნელის პროფესიას დაეუფლა და საქართველოს მწვრთნელთა კოლეგიის წევრიც გახდა. საქართველოს ტერიტორიაზე იშვიათია ფეხბურთის მოედანი, სადაც მას არ უმსაჯია. წლების განმავლობაში იყო წითელწყაროს ფეხბურთის ნაკრები გუნდის „შირაქის" მწვრთნელი და პრეზიდენტი. ეს გუნდი II ჯგუფში თამაშობდა და კარგი შედეგებიც ჰქონდა.

ძლიერი გუნდი გვყავდა. გულშემატკივარიც აქტიური იყო,გადავსებული ტრიბუნებიდან ეფინებოდა მათი ყიჟინა თითოეულ გატანილ გოლზე. ინფრასტრუქტურაც, იმ დროის კვალობაზე, ცუდი არ იყო: მოედანი ბუნებრივი ბალახით იმოსებოდა, იყო გასახდელები, შხაპები.

ყოველწლიურად იმართებოდა რაიონული პირველობა გაზეთ „შირაქის" გარდამავალ თასზე. მერე, ისე როგორც ბევრი სხვა რამ, სტადიონიც ჩამოინგრა, ჩამოიშალა. ის „შირაქის" თასიც ახლა ვის აქვს და სადმე არის თუ არა, ისიც არ ვიცი, მაგრამ ნამდვილად სულ სხვა დრო მოვიდა, მართლა ახალი ცხოვრება იწყება. როცა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ უდიდესი ქართველი ფეხბურთელი და „ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი კახი კალაძე დედოფლისწყაროში ჩამოვიდა, მე მას შევხვდი. ჩვენი ნაცნობობა ჯერ კიდევ ჩემი მსაჯობის დროიდან მოდის. მასთან ერთად იყვნენ ჩვენი თანამემამულეები, ახლა უკვე შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და დეპუტატი ალექსანდრე თამაზაშვილი. გულდაწყვეტილმა გავიხსენე ჩვენი გუნდის საამაყო წარსული. მათ მანუგეშეს და სამივე დამპირდა, რომ დედოფლისწყაროში ფეხბუთი აღდგება, ექნება საკმაოდ ძლიერი მხარდაჭერა და შემწეობაო და ეს დაპირება ისევ ძალაშია. გამოზაფხულდება, სეზონი დადგება, სტადიონსაც მიეხედება, გუნდებიც ჩამოყალიბდება სოფელში, ისევ გაიმართება რაიონის პირველობები, შედგება ნაკრები გუნდი, ისევ ითამაშებენ გაზეთ „შირაქის" გარდამავალ თასზე... და არა მხოლოდ ფეხბურთი, ფიზკულტურის სხვა დარგებიც აღორძინდება, რადგან ჩვენი ახალი მთავრობა ჯანსაღი სახელმწიფოს აშენების ქვაკუთხედად ჯანსაღ ახალგაზრდობას თვლის, რადგან ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული დგას,- ამბობს ვანო გიგოლაშვილი და სჯერა, რომ ყოველი სიტყვა, ყოველი დანაპირები ჩვენი ახალი მთავრობის ხელში შესრულებადია. ყველაფერს დრო სჭირდება და ეს დრო მათ სასარგებლოდ საქმით იმუშავებს.

ახლა კი მივუბრუნდეთ მის ძირითად საქმიანობას: ვანო გიგოლაშვილმა სპორტული მოღვაწეობის პარალელუდად არცთუ უნაყოფო პროფესიული ცხოვრება გაიარა-დაამთავრა კიშინოვის (მოლდავეთში) პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება. ამ დარგში მისი ნათლობა ელექტროქვესადგურის მორიგის პოსტზე შედგა. მერე იქიდან ელექტროქსელების ტექნიკის უსაფრთხოების ინჟინერ-ინსპექტორად დააწინაურეს. 1975 წლამდე იმუშავა ამ თანამდებობაზე და საქსოფლელექტრომშენის უფროსად გადაიყვანეს. ხუთი წელიც ამ საქმის აწყობას შეალია. 1980წელს ღვინის ქარხნების გაერთიანების მთავარ ენერგეტიკად დანიშნეს, სადაც მართლა „სასწაულები" მოახდინა-თითო კონვეიერს ორ-ორი მკვებავი ხაზი დაუმონტაჟა, რითაც, პრაქტიკულად, გამოირიცხა კონვეიერის გაჩერება და ყურძნით დატვირთული მანქანების კოლონებმაც რიგში დგომისგან ამოისუნთქეს. 1985 წელს გაიხსნა ახალი ორგანიზაცია „საქგანათება", რომელსაც გარე განათების ორგანიზება ევალებოდა. გამოცდილი ენერგეტიკი ვანო გოგილაშვილი ჩაუყენეს მას სათავეში. რამდენიმე წელში კი რაც მოხდა ყველამ ვიცით-წყდიადმა მოიცვა მთელი ქვეყანა, საუბნო გენერატორებზე მიბმულმა სისტემამ ობობას ქსელივით დახლართა ხაზები, რომლის გამორჩევა და ნაწილობრივი გამრიცხველიანება, როგორც იქნა, წინა წლებში დამთავრდა. ახლა ენერგეტიკას სხვა ეტაპი უდგას, გამორჩეულად ბევრი საქმეა კახეთში, რადგან „კახეთის ენერგოდისტრიბუცია" გაკოტრების რეჟიმშია და როგორც ამას წინათ კახეთში მყოფმა ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ განაცხადა, „კახეთში მართლაც სავალალო მდგომარეობაა. ერთი ქარის წამოქროლება და რეგიონში ელექტროენერგია ითიშება. გამრიცხველიანების პროცესი, უსახსრობის გამო შეჩერებულია. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. სამინისტრო უახლოეს მომავალში ეცდება, დადებითად გადაწყვიტოს მოლაპარაკება „ახემა ჯგუფთან", რომ კომპანია შემოვიდეს და ინვესტიცია განახორციელოს. დიდძალი სამუშაოებია ჩასატარებელი, ბოძებიც და გაყვანილობაც გამოსაცვლელია, 40 ათასამდე აბონენტი გამრიცხველიანების გარეშეა დარჩენილი".

ანალოგიურად ბევრი სამუშაო დახვდა „კახეთის ენერგოდისტრიბუციის" დედოლისწყაროს განყოფილებაში ახალ ამპლუაში მოსულ ძველსა და გამოცდილ ენერგეტიკს ვანო გიგოლაშვილს, რომელიც მომავალს იმედიანად უყურებს. სულ რაღაც ერთ თვეში განხორციელებულ სამუშაოებზე და სამომავლო გეგმებზე საუბრობს:- დიდი ხანი არ არის, რაც ორგანიზაციას ჩავუდექი სათავეში, მძიმე მემკვიდრეობა დამხვდა. პირველ რიგში საჭირო გახდა კადრების გადახალასება, რაც სასიამოვნო პროცესი ნამდვილად არ იყო, მაგრამ აუცილებლობა მოიითხოვდა. კარგი კოლექტივი შეიკრა. იმედი მაქვს, ყველა გულმოდგინედ და ერთგულად შეასრულებს თავის მოვალეობას. გაკოტრების რეჟიმში მყოფ კომპანიას სერიოზული ფინინასური პრობლემები აქვს. სამუშაოს შესრულებას, ექსტრემალურ სიტუაციაში წარმოშობილი ხარვეზების აღმოფხვრას აფერხებდა ის , რომ ტრანსპორტი არ გვყავდა, რითაც მუშა ჯგუფი დროის მცირე მონაკვეთში დაზიანებულ ობიექტზე მივიდოდა. ჩვენ მოგვცეს უფლება და ფინანსები იმისთვის, რომ ხელშეკრულებით ავიყვანოთ ავტომობილი, რომელიც მონტიორებს მოემსახურება, რამაც შექმნა შესაძლებლობა, დროულად შევაკეთოთ დაზიანებები. ამით არა მარტო მომსახურების ხარისხი გაუმჯობესდა, არამდ თანამშრომელთა სამუშაო პირობებიც-მათ აღარ უწევთ დაზიანების ადგილზე, რომელიც შეიძლება 2-3 კლომეტრის რადიუსში მოხდეს, ფეხით სიარული და საჭირო ინსტრუმენტების ხელით ზიდვა, რითაც ისინი ძალიან კმაყოფილები არიან. უკვე შექმნილია ორი სამუშაო ჯგუფი, რომელიც სულ რამდენიმე დღეში დაიწყებს გამრიცხველიანებას გამარჯვების ზონაში შემავალ სოფლებში- ზემო მაჩხაანში, მირზაანში, არბოშიკში, ოზაანში, თავწყაროზე და თვით გამარჯვებაში. ამ კუთხით ქედების ზონაში და ქალაქ დედოფლისწყაროში საკითხი, ძირითადად გადაწყვეტილია. სერიოზულ სიახლეებს ველოდებით მარტის თვიდან. იგეგმება თანამშრომლებისთვის ხელფასის მომატება, სპეცტანსაცმლით და სამუშაო იარაღებით უზრუნველყოფა, ახლო მომავალში შესაბამისი ორხიდიანი ტრანსპორტის გამოყოფის პერსპექტივაც არსებობს, რაც ჩვენს მუშაობას გააიოლებს და გააუმჯობესებს. მალე დაიწყება სარემონტო სამუშაოები. ჯერ კიდევ კომუნისტების დრინდელი ჩვენი ელექტროსისტემა სრულად შესაცვლელია. უამარავი ავარიული ბოძი და საყრდენი გვაქვს, რაც მოსახლეობას და მათ ქონებას საფრთხეს უქმნის.

- როგორ არის გადასახადზე სახელმწიფო სუბსიდირების საქმე?

- კარგად. არავითარი შეფერხება არ გვაქვს. იანვარში დარიგებულ ქვითრებშიც მოხვდა პატარა პერიოდი, რადგან ის ძირითადად დეკემბრის თვეში გახარჯულ ელექტროენერგიაზე გაიწერა, ახლა, თებერვალში სრული ოდენობით დაერიცხება შელავათი, რომელიც ქვითარში არის მითითებული გრაფაში"სახელწიფო სუბსიდია". თითოეულ მოქალაქეს ამ გრაფაში შეუძლია ნახოს რა შელავათი მოუწია სახელწიფოს მხრიდან. ეს დასაწყისია, ჯერ ხომ სამიოდე თვე გავიდა ახალი ხელისუფლების მოსვლიდან, უფრო მეტი სიკეთე იქნება თანდათან. ამ დღეებში ჩვენმა მინისტრმა ბატონმა კახი კალაძემ განცხადება გააკეთა გაზის ტარიფის დაკლებასთან დაკავშირებითაც. ზოგიერთი ენამწარობს და ამბობს, რომ ის ამ დარგის სპეციალისტი არ არისო, სამაგიეროდ ისეთივე კარგი მენეჯერია, როგორიც ფეხბურთელი იყო. მისი ინიციატივით ბევრი რამ კეთდება და სამომავლოდაც იგეგმება.

- ხშირად ჩივიან მომხმარებელები , რომ მათ შუქი ჩაუჭრეს. რატომ ხდება ეს?

- მართალია. ჩვენთანაც ხშირად მოდიან ურჩი გადამხდელები და პრეტენზიას აცხადებენ ხაზის ჩაჭრასთან დაკავშირებით. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ხალხს ეკონმიკურად უჭირს, ამას უკიდურეს შემთხვევაში ვითვალისწინებთ კიდეც სოციალურად დაუცველთა მიმართ, მაგრამ ***ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, ვისწავლოთ კორექტული დამოკიდებულება მოქალაქეობრივი ვალდებულებების მიმართ,*** ქვითარს ზედ აწერია გადახდის ბოლო ვადა, მაინცდამაინც რატომ უნდა გადავაცილოთ და მერე ვიძახოთ, რა მოხდა, ერთი კვირით დავაგვიანე და შუქი რად ჩამიჭრესო. ქვითარზე მითითებული თარიღი ვინმეს მოგონილი კი არ არის, ამის შემდეგ იწყება საბუღალტრო ოპერაციები, რომელიც სერიოზული სამუშაოა და დარგის განვითარებისთვის სასიცოცხლო. თუ გვინდა, რომ დენი შეუფერხებლად მოგვწოდებოდეს, ამ ნორმებსაც უნდა დავემორჩილოთ და ჩვენს მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი გადავიხადოთ დროულად, რითაც ხელს შევუწყობთ ურთიერთვალდებულებების ხარისხიანად შესრულებას. ამიტომაც, ***ვთხოვ მოსახლეობას გადაიხადოს გადასახადი და ჩაეტიოს მითითებულ ვადებში.*** აქ ერთი პრობლემაც გვაქვს: არის შემთხვევები, როცა გადაუხდელობის გამო ავტომატჩამრთველიდან მონტიორი დენს გათიშავს, მომხმარებელი კი მას თვითნებურად აერთებს, რაც ხშირად „კუსტარულად" ხდება და ავარიის მიზეზია. ამასთან, აღნიშნული ქმედება ითვალისწინებს ჯარიმას, რაც მერე ურჩი მომხმარებლის კისერზე გადადის და მის უკმაყოფილებას იწვევს. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად სულ ახლახანს ჩვენმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ლუქი დაედოს ავტომატჩამრთველებს. ვაფრთხილებ მოსახლეობას, თვითნებური ჩართვა და ლუქის დაზიანება დსჯადია და ნუ ჩაიყენებთ თავს უხეხულ მდგომარეობაში. ზოგადად კი მინდა გითხრათ, რომ დიდ ყურადგებას და ხელშეწყობას ვგრძნობთ სს"კახეთის ენერგოდისტრიბუციის" მხრიდან და კერძოდ გაკოტრების მმართველის ბატონ აკაკი ბეგიაშვილისგან. ჩვენი გამართული მუშაობით ინტერესდება და მხარს გვიჭერს ადგილობრივი ხელმძღვანელობაც, რისთვისაც მადლობელი ვართ. ჩვენ კი, ჩვენი მხრიდან არ დავიშურებთ ძალისხმევას, ვიცხოვროთ განათებულ რაიონში.

- გისურვებთ წარმატებებს!

- გმადლობთ.

ესაუბრა ნაირა გოგაშვილი.

„ადითი“ ახალ საავადმყოფოს ზაფხულისთვის გვპირდება

მას შემდეგ, რაც ნაციონალურ მოძრაობას „100 ახალი საავადმყოფოს“ პროექტი ჩაუვარდა, ებრაული კომპანია „ადითი“ ერთ-ერთი იყო, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა და ქვეყნის მასშტაბით ახალი სამედიცინო ობიექტების მშენებლობა დაევალა. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, „ადითმა“ საქართველოს 9 ქალაქის საავადმყოფო შეიძინა და მათი სრული რეაბილიტაციის ვალდებულება საკუთარ თავზე აიღო. თუმცა, საქმე წინ არ წასულა. ვალდებულების შესასრულებლად აღებული ვადის ამოწურვამდე რამდენიმე დღე დარჩა, პროცესი კი არ იძვრის. ამასთან, გასაიდუმლოებულია ისიც, რა გადაიხადა ებრაულმა კომპანიამ საავადმყოფოებში და რა ვალდებულებები აქვს აღებული მას სახელმწიფოს წინაშე.

„ადითმა“ საავადმყოფოებში შესვლისთანავე მედპერსონალს ხელფასები გაუნახევრა, ბოლოს კი კადრებიც მინიმუმამდე დაიყვანა. ასევე, ყველა რაიონულ საავადმყოფოში მიზერული ხელფასების გარდა, ამ დრომდე პრობლემად რჩება დაგვიანებული ხელფასები. „ადითი“ მედპერსონალისთვის ხელფასების დროულად გაცემის ვალდებულების შესრულებასაც ვერ ახერხებს. ამ ფონზე რაიონებში ხშირია ექიმების გაფიცვის შემთხვევები. საპროტესტო აქციებით ჩოხატაურის რაიონი გამოირჩევა. ექიმებს გაფიცვა თითქმის ყოველთვიურად უხდებათ, რაც პაციენტებს აზარალებს.

პრობლემას „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაც აღიარებდა და იმედგაცრუებაზე ამახვილებდა ყურადღებას. საინტერესო ვითარებაში აღმოჩნდა ამჟამად კახეთის გუბერნატორი ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ ჯანდაცვის მინისტრად მუშაობის დროს რეგიონებში „ადითის“ მიერ შეძენილ საავადმყოფოებს ათვალიერებდა. იმხანად, მინისტრმა არ დამალა, რომ გურიის ერთ-ერთ საავადმყოფოში სუნმაც კი შეაწუხა.

„სახელმწიფოს ინტერესი, ჩვენი, ყველას ინტერესია, რომ ახალი კლინიკები იყოს. სამწუხაროდ, ამ კონკრეტულმა ინვესტორმა რამდენიმე რაიონი ჩაგვიგდო. მე ველაპარაკე მედპერსონალს. სამწუხაროდ, ინვესტორს ვალდებულება აქვს, რომ 2013 წლის პირველ აპრილამდე გააკეთოს რაღაც, მაგრამ ეჭვი მეპარება, ამ დარჩენილ დროში მათ რამე გააკეთონ. ამიტომაც, რვა რაიონს, სადაც „ადითია“, უყურადღებოდ არ დავტოვებთ“, - აღნიშნავდა რეგიონულ მედიასთან საუბრისას ჭიაბერაშვილი და დასძინა, რომ „ადითის“ თანამშრომლების ხელფასების პრობლემებზეც გამგებლებსაც და სამინისტროსაც ებრაულ კომპანიასთან ყოველთვიურად უწევთ საუბარი.

კომპანია „ადითი“ ამ დრომდე დუმდა, ვერც რაიონული ფილიალების ხელმძღვანელები აკონკრეტებდნენ, რეაბილიტაციის თაობაზე აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით, საქმე რა მიზეზით არ იძვრება. ყველასგან მოულოდნელად, „ადითის“ ხელმძღვანელობამ გააქტიურება ვადის ამოწურვამდე სულ ცოტა ხნით ადრე დაიწყო.

„ადითის“ მეპატრონე და ხელმძღვანელი ელენა ლევინი რეგიონებში მათივე ფილიალებში ვიზიტებს იწყებს. დედოფლისწყაროს რაიონი ერთ-ერთი პირველია, სადაც ელენა ლევინი კომპანიის ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ჩავიდა, ჯერ მათივე ფილიალის ხელმძღვანელებს შეხვდა, მოგვიანებით კი დედოფლისწყაროს გამგებელთან ირაკლი შიოლაშვილთან გაფართოებული შეხვედრა გამართა. კომპანიის მფლობელი ადასტურებს, რომ რეგიონებში სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციის დაწყება ამ დრომდე ვერ მოხერხდა. მეპატრონე გარკვეულ პრობლემებსაც და ხელისშემშლელ ფაქტორებსაც ახსენებს, თუმცა დეტალებს არ აკონკრეტებს.

„კახეთში ჩამოვედით იმისთვის, რომ გითხრათ - უახლოეს დღეებში დაიწყება საპროექტო სამუშაოები, დედოფლისწყაროს კლინიკის შენობის რეაბილიტაცია მიმდინარე წლის მარტიდან დაიწყება. მინდა გითხრათ, სამუშაოების დასრულების შემდეგ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას საშუალება ექნება სტაციონალური მკურნალობა 30 სანოლიან საავადმყოფოში გაიაროს. სამწუხაროდ, ეს დღემდე ვერ მოვახერხეთ, რადგან იყო უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელიც დღეს აღარ არსებობს,“ - აღნიშნა ელენა ლევინმა.

შეხვედრის შემდეგ გაჟღერდა, რომ **„ადითი“ დედოფლისწყაროელებს სამედიცინო მოსახურების სრულ პაკეტს, სტაციონარულ, ამბულატორიულ და დიაგნოსტიკურ მკურნალობას ამავე წლის ივლისში შესთავაზებს. უკვე ცნობილია, რომ „ადითი“ დედოფლისწყაროში ყოფილი პოლიკლინიკის შენობის რეაბილიტაციას მოახდენს, საბოლოო ჯამში კი 30 საწოლიან კლინიკას გახსნის.**

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ „ადითი“ პასუხისმგებლობით მოეკიდება აღებულ ვალდებულებას და დაწყებულ საქმეს ღირსეულად დაასრულებს, დედოფლისწყაროელ მოქალაქეებს კი სამკურნალოდ წასვლა მეზობელ რაიონებში აღარ მოუწევთ.

„ადითი-დედოფლისწყაროს“ ხელმძღვანელი, ხათუნა აგლაძე ჩვენთან საუბარში ამ თანამდებობაზე მოსვლისთანავე აცხადებდა, რომ საპროექტო სამუშაოებისას ინვესტორები დედოფლისწყაროს რაიონის სპეციფიკას მაქსიმალურად ითვალისწინებენ, რაც მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ხათუნა აგლაძე ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინ ადასტურებდა, რომ ახალი, თანამედროვე სტანდარტების სტაციონარი დედოფლისწყაროში 2013 წლის მარტში გაიხსნებოდა. ამჯერად კი ირკვევა, რომ სამუშაოები მარტში არათუ სრულდება, მარტიდან დაიწყება.

ვალდებულებების დროულად შეუსრულებლობის მიზეზად არათანაბარი პირობები სახელდება, ებრაული კომპანია წინა ხელისუფლებას ჩაგვრაში ადანაშაულებდა.

„ადითი“ ახალ საავადმყოფოს ამჯერად ზაფხულისთვის გვპირდება!

ილია მარტყოფლიშვილი

ონკოლოგიურად დაავადებულთა რიცხვმა მოიმატა

სულ რაღაც ერთი კვირის წინ, ონკოლოგიურად დაავადებულთა საერთაშორისო დღე იყო, რაც მთელს მსოფლიოში სხვადასხვაგვარი აქციებითა და ღონისძიებებით აღინიშნა. დაზუსტებული სტატისტიკური მონაცემები ონკოლოგიურად დაავადებულთა შესახებ არ არსებობს, თუმცა მედიკოსების აზრი ამ თემაზე უცვლელია- რაც უფრო მზარდია მეცნიერული მიღწევები ამ მხრივ, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია პირველი და მეორე სტადიის განკურნება, ამის მიუხედავად მაინც მზარდია ონკოლოგიურად დაავადებულთა რიცხვი მთელს მსოფლიოში.

ონკოლოგია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს სხვადასხვა სიმსივნის წარმოშობას, განვითარებასა და მკურნალობის მეთოდებს. მის შესახებ ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტის, ჩინეთისა და ინდოეთის სამედიცინო სკოლების წარმომადგენლებისა და პერუელი ინკებისთვის. ყველაზე ძველი ისტორიული წყარო (პაპირუსზე) თარიღდება ქრისტეს შობამდე 1600 წლით. მასში აღწერილია სიმსივნით დაავადებულის მდგომარეობა და მკურნალობის ქირურგიული მეთოდები.

ავთვისებიანი სიმსივნეების აღსაწერად ტერმინი ჩარცინოს შემოიღო ჰიპოკრატემ. იგი წერდა: „სიმსივნე დაჭიმულია ისევე, როგორც კიბოს ფეხები“. ამ დაავადებას უკავშირებდა შავ და ყვითელ მჟავას, სისხლსა და ცრემლს შორის ბალანსის დარღვევას. მისი აზრით კიბოს გამომწვევი იყო შავი ნაღველის სიჭარბე, ამიტომ მას დიეტითა და სისხლის გამოშვებით მკურნალობდა.

პირველი ჰიპოთეზა სიმსივნეების გენეზის შესახებ შეიმუშავა კლავდიუს გალენოსმა ნაშრომში „სიმსივნეების ჰუმორული თეორია“, რომელმაც აქტუალობა 1000 წელი შეინარჩუნა.

სიმსივნის მკურნალობის პირველი დოკუმენტი ეკუთვნის ავიცენას (980-1037); ის 1020 წელს ნაშრომში „საექიმო მეცნიერების კანონი” წერდა: აღნიშნული ქსოვილის მოკვეთა უნდა მოხდეს მთლიანად, ხოლო რთულ შემთხვევებში რეკომენდებულია ქსოვილის მოწვა. 1761 წელს ჯონ ჰილმა პირველმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ავთვისებიანი სიმსივნე შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო გარემო ფაქტორებით; იგი ამტკიცებდა კავშირს ცხვირის კიბოსა და თამბაქოს ჭარბ მოხმარებას შორის. ავთვისებიანი დაავადებების მიზეზთა შესწავლაში დიდი როლი ითამაშა ინგლისელი პენსილვან პოტის დაკვირვებებმა. 1775 წელს, მან აღწერა ბუხრის მწმენდავების სათესლე პარკის კანის კიბო, რომელიც ქვანახშირის გამოხდის პროდუქტების, მურის და კვამლის ნაწილაკების ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგი იყო.

ამონარიდი წიგნიდან „ონკოლოგია“ - საქართველოში ონკოლოგიის პირველი კათედრა სტუდენტებისათვის დაარსდა 1976 წლის ბოლოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, ამჟამად უნივერსიტეტში, ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ბაზაზე. განვლილ პერიოდში ონკოლოგიის სწავლება გაიარა 20.000-ზე მეტმა სტუდენტმა

1940-იან წლებში დამტკიცდა, რომ პროსტატის კიბოს შემთხვევაში ესტროგენებმა შეიძლება გამოიწვიოს დადებითი ეფექტი. იქიდან მოყოლებული, ჰორმონული თერაპია სიმსივნის საწინააღმდეგო არსენალის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ცხოველებში სიმსივნეების ხელოვნურად მიღებას და კანცეროგენეზის პროცესის შესწავლას საფუძველი ჩაეყარა 1898 წელს ი. და ფ. კიურების მიერ ხელოვნური რადიოაქტიურობის აღმოჩინით.

1898 წელს, ავთვისებიანი სიმსივნეების მაალკალირებელი პრეპარატებით მკურნალობის დაწყებამდე 45 წლით ადრე, გერმანელმა მეცნიერმა პაულ ერლიხმა დაადგინა მათი უნიკალური მახასიათებლები. მასვე ეკუთვნის ტერმინი „ქიმიოთერაპია”. საქართველოში უახლესი სამეცნიერო სამედიცინო გამოკვლევები ონკოლოგიური დაავადებების შსახებ ეკუთვნით მიხეილ შავდიას და რემა ღვამიჩავას. სწორედ მათ 2011 წელს გამოსცეს მეცნიერული ნაშრომი წიგნის სახით-„ონკოლოგია“, რის გამოც იმავე წელს გახდნენ ეროვნული პრემიის ლაურიატები.

თუ რა მდგომარეობაა ჩვენს რაიონში ონკოლოგიური თვალსაზრისით, ამაზე ექიმ-ონკოლოგს ნუკრი ბაღაშვილს ვესაუბრეთ. როგორც მასთან საუბარში ირკვევა, 2012 წლის ბოლოს დედოფლისწყაროს სამედიცინო ცენტში მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული 208 პაციენტი. მათ შორის 15 წლამდე ასაკის ბავშვებიც არიან.

- „სტატისტიკურ მონაცემებს რაც შეეხება, მინდა დაბეჯითებით გითხრათ, რომ ჩვენს რაიონში ნამდვილად არაა საგანგაშო მდგომარეობა,თითქმის რამდენიმე წელია, მე ამ სფეროში ვმოღვაწეობ და დიდი ცვლილება ჩვენს რაიონში სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა რიცხობრივ მონაცემებში არ შეინიშნება, რასაც ვერ ვიტყვით გურჯაანის მაგალითზე. იქ ონკოლოგიურად დაავადებულთა რიცხვი 800-დან 900-მდე მერყეობს. ჩვენთან კი წლებია, 190-200 ონკოლოგიური პაციენტია დაფიქსირებული და ვერ ვიტყვი, რომ მკვეთრადაა გაზრდილი დაავადებულთა სტატისტიკური მონაცემები. რაც შეეხება იმას, თუ რომელ ორგანოზე მოდის უფრო მეტი სიმსივნური დაავადება, გეტყვით, რომ ძირითადი დარტყმა მოდის მკერდის და საშვილოსნოს ყელის ონკოლოგიურ დაავადებებზე. მათი პრევენციის მიზნით ბოლო პერიოდში მიმდინარეობს უფასო სკრინინგები ქალაქ თბილისში, კახეთის მოსახლეობას კი შესაძლებლობა აქვს გურჯაანის რაიონის კლინიკას მიაკითხოს, სადაც უფასო აქცია ხორციელდება კახეთის მოსახლეობისთვის. კიდევ, თხოვნა მექნება მოსახლეობასთან, რომ ნუ შეიკავებენ თავს საეჭვო ვითარებაში,განსაკუთრებით მივმართავ ქალებს, რადგან მკერდის კიბოს გამომჟღავნებას ხშირად აქვს ადგილი. მოვუწოდებ მათ, რომ დაგვიანებული ვიზიტი ექიმთან რეგრესირებს განკურნების პროცესს. დროულად ჩატარებული გამოკვლევა და მკურნალობა განკურნების გარანტია. და კიდევ,ხდება ხოლმე ისეც, რომ ავადმყოფები ჯერ თბილისში მიდიან, მოივლიან კლინიკებს და შემდეგ აღმოაჩენენ ხოლმე, რომ აქედან საბუთებია წარსადგენი. ამიტომ ჯობია, თავიდანვე მოვიდნენ ადგილზე, დავაკვალიანებ, ვუჩვენებ გზას, თუ სად წავიდნენ, რა გამოკვლევები ჩაიტარონ და საერთოდ, როგორ მიხედონ ჯანმრთელობას“-აცხადებს ექიმი ონკოლოგი ნუკრი ბაღაშვილი.

როგორც ვხედავთ ზოგადი სურათი ჩვენს რაიონში ონკოლოგიურად დაავადებულთა შესახებ, არც თუ ისე საგანგაშოა, თუმცა ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ მსოფლიოში კიბოს დაავადებამ მასიური ხასიათი მიიღო. თანამედროვე სამედიცინო მიღწევები იძლევა იმის გარანტიას, რომ ისევე დამარცხდება კიბო, როგორც თავის დროზე ტუბერკულოზის შემთხვევაში მოხდა.

ლალი მეხრიშვილი.

პერსონალური გამოფენა

ანონსი

იცით, ყველაფერი როგორ დაიწყო? -საუბარი წამოიწყო ბელამ და მანქანის სარკეში თვალი თვალში გამიყარა.

მირზაანში მივდიოდით ბელას სახლში.

– ერთი უცნაურობა უსწრებდა წინ ჩემი ხატვით დაინტერესებას. 19 წლის ვიქნებოდი, დედა ხშირად ხედავდა ფერად სიზმრებში, რომ სასტუმრო ოთახი ნახატებით ივსებოდა. ეს, ალბათ, დედობრივი ინტუიცია იყო და ერთ დღეს მომთხოვა, რაიმე დამეხატა. გოგონა დავხატე და მწვანედ შევღებე. დედა ამაზე ძალიან გამინაწყენდა.

ამ საუბარში გედიქის ხევს მივუახლოვდით. აგერ, ნიკალას სამეფოც - დევებივით წამომდგარან მირზაანის გორები.

ცოტაც და შევაღებთ მომლოდინე ლობჯანიძეების ოჯახის კარს, სადაც გულთბილ ადამიანებთან ერთად ბელას ნახატებიც გველოდებიან. ნიკალასა და მის მინაზევე გაზრდილ 24 წლის გოგონას შორის რა არის საერთო? ჯერ-ჯერობით მხოლოდ ის, რომ ორივე თვითნასწავლია.

მანქანა ჩერდება და გაღებული ჭიშკრისკენ მივემართებით, უზომოდ თბილი და ღიმილიანი მასპინძლები სახლში შესვლას გვთხოვენ. ქართული ტრადიცია არ ირღვევა- ოჯახის უკეთ გასაცნობად სახელდახელო სუფრა იშლება. მონაცვლეობით ცქრიალებენ დედა - მედიკო გავაშელი და სამი ერთმანეთზე ლამაზი ქალიშვილი. აქ ისეთი ჰარმონიაა, ცოტაც და დამავიწყდება ამ ოჯახში მისვლის მიზეზი.

-შვილების გარდა არავისთან ვყვებოდი უცნაური სიზმრების ამბავს, თუ როგორ ივსებოდა სასტუმრო ოთახი ნახატებით - საუბარი წამოიწყო ქალბატონმა მედიკომ. მასწავლებელს რომ ვერ დაენახა, ხატვით ჟინმორეული ბავშვი ფეხებზე პეპლებს, ყვავილებს და რას არ იხატავდა. სულ მუდამ მის დატუქსვაში ვიყავი. ალბათ, ეს იყო მიზეზი, ბელამ კარგახნით ხატვა რომ შეწყვიტა.

დღიურში, რომელიც ბავშვობაში მეზობელს შეუვსო ბელამ - საუბარში ჩაერია უფროსი და ლელა, -ასე ჩაუწერია - „ჩემი ოცნებაა გავხდე მხატვარი“.

-ჩემი დის ნახატები უკვე ორჯერ (2010წლის აპრილში, 2011წლის მაისში) გამოიფინა თბილისში, ნიკალას სარდაფში, სადაც მხატვრების დიდი მოწონება დაიმსახურა, რასაც ვერ ვიტყვი მირზაანის „ფიროსმანის სახლ - მუზეუმზე“. იქ ბელას ნახატებს რატომღაც შესაფერისი ადგილი ვერ მოუძებნეს და ამინდის გამო ქარში აქეთ - იქით ცვიოდა. დედასთან ატუზულს, ამის შემხედვარეს ცრემლები მდიოდა, - ზოგჯერ რა უსამართლოა ცხოვრება...

დავიბენი, ასეთი დიდი ზომის ტილოები განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს ჩემზე. საიდან ასეთი მრავალფეროვნება და მასშტაბურობა? აგერ, „გიორგი სააკაძე“. მრავალომგადახდილი, ნარბშეკრული რომ ემშვიდობება საყვარელ საქართველოს. ფარზე კი უკვდავი სიტყვები ამოუტვიფრავს - ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსთვის უცემს გული. გვერდით სხვა ტილოა, სხვა კონტრასტი - „ყაყაჩოები“.- „ნიკო გომელაური“, - სწორედ ისეთი, ბოლოს რომ იხილა საზოგადოებამ, უკვე გატეხილი, სხივჩამქრალი.

„რომეო და ჯულიეტა“, „ქალთევზა“, „მეცხვარე ბიჭი და ძაღლი“, „პრომეთე“ - ისევ აჭიკჭიკდა მარიკუნა, - ეს მე დავახატინე. პრომეთეზე ვკითხულობდი , ბელას წიგნი ვაჩვენე და ვუთხარი - ნახე რა ლამაზი ყოფილა პრომეთე! ცოტა ხნის მერე დახატა, ერთი ამოსუნთქვით.

აგერ „ფიროსმანიც“, - ეს ზომით ყველაზე დიდი ნახატია. ასეთ ნიკალას ვერსად შეხვდებით. ამაყი, ნათელი სახის, მეოცნებე და მომავლის მოიმედე ფიროსმანის დახატვა მხოლოდ მის თანასოფლელს შეუძლია, მის ფესვებში ამოზრდილ ყლორტს.

მინდა ყველა ნახატზე მოგიყვეთ რაღაც, მაგრამ ჯობს საკუთარი თვალით ნახოთ. დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 7 თებერვალს გაიხსნა ბელა ლობჯანიძის ნახატების პერსონალური გამოფენა, რომელიც თვის ბოლომდე გასტანს.

მობრძანდით და შეაფასეთ მისი ნახატები. მას კრიტიკა არ აფრთხობს და ღიმილით ამბობს, - მობრძანდით და აზრი გამოთქვით, მე მადლიერი დაგრჩებით.

თამარ ლობჯანიძე

ვრცელ მასალას ამ გამოფენის შესახებ მომდევნო ნომერში იხილავთ.

სოფელ ხორნაბუჯში ტრეფიკინგის თემაზე სამართალდამცავებთან შეხვედრა გაიმართა

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში 7 თებერვალს შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა მოსწავლეებთან შეხვედრა გამართეს. სამართალდამცავებთან შეხვედრა ტრეფიკინგის თემაზე მოსწავლეთა ინფორმირებას ისახავდა მიზნად.

შეხვედრა ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში მოქმედ „სამოქალაქო კლუბის“ აქტივობების ფარგლებში ჩატარდა. დაინტერესებულმა მოსწავლეებმა თავდაპირველად სპეციალურად ამ თემაზე მომზადებული ინფორმაციული ხასიათის ფილმი იხილეს, რამაც მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია. ფილმში დეტალურად იყო განმარტებული ის გზები, თუ როგორ შეიძლება ტრეფიკიორთა მახეში გავებათ და როგორ მოვეკიდოთ სიფრთხილით საზღვარგარეთ გამგზავრებისა თუ საკუთარი პირადი დოკუმენტაციის უცნობ მოქალაქეებზე გადაცემის ფაქტებს.

შეხვედრის მეორე ნაწილი მთლიანად დისკუსიას დაეთმო. სამართალდამცავები დაინტერესებული მოზარდების კითხვებს პასუხობდნენ. შეეხნენ მოსალოდნელ საფრთხეებს და მის თავისებურებებს.

სკოლის მოსწავლეებს დეტალურად აინტერესებდათ სტატისტიკური მონაცემები. მეათე კლასის მოსწავლე ილონა ხარაიშვილი დაინტერესდა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ტრეფიკინგის მხრივ რა ვითარებაა საქართველოში და რომელ ადგილზე იმყოფება ჩვენი ქვეყანა.

მოზარდების მხრიდან, ასევე, დაისვა კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის სასჯელს ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობა ტრეფიკინგის წინააღმდეგ და რა კეთდება საქართველოში ამ დანაშაულის აღსაკვეთად და ვითარების გასაუმჯობესებლად.

სამართალდამცავებმა მოსწავლეებს განუმარტა, თუ რა არ უნდა გააკეთონ და რა უნდა მოიმოქმედონ იმისთვის, რომ მომავალში არ გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი, ასევე დეტალურად ისაუბრა სასჯელის ფორმებზე.

დარბაზში მყოფი მოზარდთა უმრავლესობა უნდობლობას გამოხატავდა საზღვარგარეთ გამგზავრების დროს ე.წ. „შუამავლების“ და დამსაქმებლების მიმართ. შემდეგ დარბაზში დისკუსია გაიმართა, შეხვედრის ბოლოს კი პოლიციის წარმომადგენლებმა შეაჯამა მიღებული ინფორმაცია.

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის „სამოქალაქო კლუბის“ ხელმძღვანელის მარიკა პოპიაშვილის განმარტებით, ამგვარი აქციების მიმართ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენენ, სწორედ ამიტომ, ამგვარი აქტივობები მომავალშიც ინტენსიურად გაგრძელდება.

„სამოქალაქო კლუბის” სახელით გვინდა მადლობა გადავუხადოთ შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს პროექტის განხორციელებაში გაწეული დახმარებისთვის,” - აღნიშნავენ კლუბის წარმომადგენლები.

ირაკლი კოკილაშვილი

დედოფლისწყაროს კიკბოქსინგელთა გუნდი „ჩემპიონი“ კვლავ პირველია

2 თებერვლს ქ. თბილისში ჩატარდა შეჯიბრი კიკბოქსინგში კლუბებს შორის „ღია რინგი“-ის სახელწოდებით ახალბედა და დამწყებ სპორცმენთა შორის.



შეჯიბრზე მონაწილეობა მიიღო დედოფლისწყაროს კიკბოქსინგის გუნდმა „ჩემპიონმა“ თამაზ ყარაგვეზაშვილის ხელმძღვანელობით. გუნდი შედგენილი იყო ახალბედა სპორცმენებით რომლებიც პირველად მონაწილეობდნენ ასეთი ტიპის შეჯიბრზე.

ტურნირზე სტუმრობდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქების და რაიონების სპორცმენები.

დედოფლისწყაროელი სპორტსმენები დიდი მონდომებით ემზადებოდნენ აღნიშნული ასპარეზობისთვის და წარმატებაც იზეიმეს პირველად ჩატარებულ ორთაბრძოლაში.

ახალბედა და დამწყები გუნდიდან გამარჯვებულები არიან: **მალხაზ ჯაგაშვილი, ლაშა ლეკაშვილი, შალვა მოსაშვილი, კაპკაზ მამედოვი, ფარიან მამედოვი, ბაბექ მამედოვი, იაროსლავ მჭედლიშვილი, მიხეილ გულიაშვილი, დავით გაბიდაური.**

საკვალიფიკაციო ორთაბრძოლებში გამარჯვებულები: **თორნიკე ლეკაშვილი, გოჩა ხილაძე, ჯემალ ზოიძე, რევაზ მარგებაძე, გიორგი ბენაშვილი**.

აღსანიშნავია, რომ დედოფლისწყაროს გუნდი „ჩემპიონი“ საქართველოს კიკ–ბოქსინგისა და ტაილანდური კრივის ფედერაციამ 2012 წლის საუკეთესო გუნდად გამოაცხადა, ვინაიდან დედოფლისწყაროელემა სპორტს მენებმა საქართველოს ჩემპიონატზე კიკბოქსინგში მოიპოვა გუნდური პირველი ადგილი და ასევე, წლის ყველა ტურნირის გამარჯვებულია.

ძირითადი გუნდი კი ემზადება ჩემპიონატებისთვის, რომელიც გაიმართება უახლოეს მომავალში.

ცოდნის ტაძარი 95 წლისაა

უნივერსიტეტში იმ წლებში ჩავირიცხე, როცა საქართველოსთვის მძიმე პერიოდი იდგა. 9 აპრილის ჭრილობა ჯერ კიდევ არ მოშუშებოდა თბილისს, აფხაზეთში კი სეპარატისტული მოძრაობა ახალი დაწყებული იყო. 16 წლის გოგონასთვის ის მძაფრი გრძნობები დღემდე გაუხუნარ მოგონებად რჩება, რაც აწ განსვენებულ ედუარდ კოდუასთან შეხვედრისას განვიცადე. ქართული სოციოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჩემი გამომცდელი იყო და ფილოსოფიის გამოცდიდან: "ჩვენ სექტემბერში შევხვდებითო", მე მაშინ გამეცინა, ნაკლებ დამაჯერებლად მეჩვენა მისი ნათქვამი, თუმცა, მისი წინათგრძნობა ახდა. მერე ხუთი წლის განმავლობაში მასწავლიდნენ ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ ნიკო ჭავჭავაძე, თაზო ბუაჩიძე, გურამ თევზაძე, ვახტანგ ერქომაიშვილი, რისმაგ გორდეზიანი, ლერი მჭედლიშვილი... უამრავი ტკბილი მოგონება მაკავშირებს უნივერსიტეტთან, ხოლო მის ეზოსთან დამოკიდებულება გარკვეულწილად მისტიკურიც კი იყო. ჩემი სტუდენტობისას, 1995 წელს გაიხსნა უნივერსიტეტის ეზოში დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესია- ტაძარი ტაძარში. შეიძლება ეს შედარება ცოტა მკრეხელურად ჟღერდეს, მაგრამ უნივერსიტეტი რომ ყველა თაობისთვის ცოდნის ტაძართან ასოცირდებოდა ყოველთვის, ფაქტია. ჩვენც, 90-იანი წლების სტუდენტები გაყინულ აუდიტორიებში ვისხედით და არცერთ ლექციას არ ვაცდენდით. მახსოვს, ერთხელ თაზო ბუაჩიძემ ამისთვის შეგვაქო და „გმირები ხართო", გვითხრა. ახლა კი ხშირად მესმის, უნივერსიტეტი იმ ძველ ცოდნის ტაძარს აღარ გავს, სტუდენტებისა და პროფესორების დამოკიდებულებაც სხვაგვარიაო. არ მინდა დავიჯერო, ჩემი სტუდენტობის წლებიც იმ მიზნით გავიხსენე, რომ ახალი თაობისთვის შემეხსენებინა, როგორი დიდი პასუხისმგებლობა იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის ტარება, იმ უნივერსიტეტის, რომელსაც ქუდს თაყვანისცემის მიზნით მაშინდელ ინტელიგენციასთან ერთად მისი დამაარსებლები და პროფესორ-მასწავლებლებიც უხდიდნენ.

8 თებერვალს ქართულ ცოდნის ტაძარს 95 წელი შეუსრულდა. გთავაზობთ უნივერსიტეტის დაარსების მოკლე ისტორიას:

საქართველოს, რომლის საუკეთესო ტრადიციები განათლების სფეროში საყოველთაოდ იყო ცნობილი (ფაზისის ფილოსოფიისა და რიტორიკის სკოლა კოლხეთში (IV საუკუნე), გელათისა და იყალთოს აკადემიები (XII საუკუნე), სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრები პალესტინაში (V საუკუნე), სირიაში (VI საუკუნე), საბერძნეთში (X-XI საუკუნეები), ბულგარეთში (XI საუკუნე)), პოლიტიკურ-ეკონომიკური დაუძლურებისა და ბოლოს რუსეთის კოლონიად გადაქცევის შედეგად რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აღარ გააჩნდა ეროვნული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება.

ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელიც ქართველმა ხალხმა გადადგა მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ეროვნული დემოკრატიული სახელმწიფოს გამოცხადებამდე, სწორედ თბილისში ეროვნული უნივერსიტეტის შექმნა იყო. შემდგომ ბოლშევიკურ და კომუნისტურ პერიოდში, მიუხედავად თავსმოხვეული იდეოლოგიისა და მკაცრი ცენზურისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეძლო ეროვნული სულისკვეთების შენარჩუნება, ზოგადსაკაცობრიო იდეალებისადმი მსახურება, აღზარდა ეროვნული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, ჩამოაყალიბა საყოველთაოდ ცნობილი სამეცნიერო სკოლები მათემატიკაში, ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიაში, ენათმეცნიერებაში, ისტორიაში, აღმოსავლეთმცოდნეობაში. თსუ-მ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მრავალი უმაღლესი სასწავლებლის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნას.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო. მას დაეკისრა ერის სულიერებაზე ზრუნვის, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების ისტორიული მისია. ამასთან მის ძირითად გამოკვეთილ მიზანს კვლავ წარმოადგენს საქართველოში თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, კულტურისა და მეცნიერების განვითარება, ერის ცივილიზაციის დონის ამაღლება. ამიტომ, დღესაც ქართველი ხალხი თბილისის უნივერსიტეტს სიყვარულით და პატივისცემით მეცნიერების წმინდა ტაძარს უწოდებს.

უნივერსიტეტი საზეიმოდ გაიხსნა 1918 წლის 26 იანვარს, – საქართველოს მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. მისივე სახელობის ეკლესია უნივერსიტეტის ბაღში 1995 წლის 5 სექტემბრიდან შეუდგა მსახურებას. 1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა.

უნივერსიტეტის პირველ რექტორად პროფესორთა კოლეგიამ ცნობილი ქიმიკოსი, ღვაწლმოსილი პროფესორი პეტრე მელიქიშვილი აირჩია. თავიდან მუშაობას შეუდგა ერთადერთი ფაკულტეტი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი საენათმეცნიერო, საისტორიო და ფილოსოფიური დარგებით. პირველი ლექცია, რომელიც 1918 წლის 30 იანვარს შედგა, ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა. პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა 1918 წლის დასაწყისისათვის 18 კაცს ითვლიდა. სწავლას შეუდგა 369 სტუდენტი და 89 თავისუფალი მსმენელი.

დღეს უნივერსიტეტში ახალგაზრდების აღზრდისა და მეცნიერული წვრთნის საქმეს 3275 პროფესორ-მასწავლებელი ემსახურება. მათგან 55 აკადემიკოსი და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 595 პროფესორი და მეცნიერებათა დოქტორი, 1246 დოცენტი და მეცნიერებათა კანდიდატია.

უნივერსიტეტის პირველი გამოშვება შედგა 1922 წელს. ამ წელს თსუ დაამთავრეს სიმონ ჯანაშიამ, ვარლამ თოფურიამ, არნოლდ ჩიქობავამ, შალვა ამირანაშვილმა, ლევან (ლენკო) მუსხელიშვილმა და შემდგომში გამოჩენილმა სხვა მეცნიერებმა.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

ილია ჭავჭავაძე „დავით აღმაშენებელი"

არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს — ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, — რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზედ იბეჭდავს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაბეჭდვითა, როგორც სარკე, გვიჩვენებს იმ ღონესა და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისთვის და გაძლიერებისთვის.

უკეთესნი და უდიდესნი მოქმედნი ერისა ხომ სხვა არ არიან-რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მოქმედნი, ვანბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ეროობა ჰსურს და დედამინის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი — საკუთარი ვინაობის დავიწყებაა. და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოჰშორდება, აღარ ახსოვს თავის მშობელი და სიცოცხლის მომნიჭებელი. გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ. ამათ სხვა სამსახურიც მიუძღვით ჩვენ-წინ. ისინი ცხოველი მაგალითებია იმისი, თუ რა სიმაღლემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს. რამოდენადაც დიდ-ბუნებოვანია ამისთანა მომქმედი, რამოდენადაც ეს დიდ-ბუნებოვნება ხშირია რომლისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლეობის აწყვისათვის. თუ გუშინ იყვნენ ჩემი სისხლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდნენ, თუ გარემოვნის იგივეობას ვიგულისხმებთ.

გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა მნიშვნელობაცა აქვთ ერისათვის. ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ-ბუნებოვნების შარავანდედითა, და თაყვანს-სცემს სასოებითა და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა.

,,ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროაო, — ამბობს ბრძენი სენეკა, — იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარის ხასიათის გაწვრთნა და გამტკიცებაო. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისი სახელის ხსენებითაცაო".

ამისთანა ბედნიერი დავით აღმაშენებელია საქართველოს ერისთვის. მისი მიცვალების დღე 26 იანვარია (ახალი სტილით 8 თებერვალი). ხოლო საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა, 26 იანვარს აქებს და ადიდებს სახელოვანს დავით მეფეს, რომელსაც უტყუარმა განაჩენმა ერისამ ეკლესიის დალოცვითა და კურთხევით, აღმაშენებლის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად. ამ მართლადა დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას. აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, — ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს. დიდება სახელსა მისსა!..

ხოლო დავით აღმაშენებელი სადიდებელისა ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდ-ბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებლობის სარწმუნოებისა, დიდ პატივისმცემელი იყო სხვისი ეროვნებისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების კაცისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არ ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მე-12 საუკუნის კაცისაგან!

...ყოველივე ეს დიდსულოვნება და სულგრძელობა დავითისა მაშინ არის მომხდარი, როცა ძლევამოსილი იგი მეფე სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო იმის დიდ-ბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას. იმას აღარ ვამბობთ, რომ სნეულთა, უღონოთა და საპყართათვის დავითმა ააშენა სამკურნალო, თითონ ხშირად დადიოდა ამ საკუთარი ხელითა და ეფინა ტაძარი ეროვნული ერისა, ეროვნული ენისა, ეროვნული ფილოსოფიისა, ეროვნული ეკლესიისა, ეროვნული ეროვნებისა, ეროვნული ეროვნებისა, ეროვნული ეროვნებ

უშუს ფედერაცია დედოფლისწყაროში განთავსდება

დედოფლისწყაროს სპორტული კლუბი „არმია“ სახეს იცვლის და შედარებით გაფართოვდება. როგორც მწვრთნელმა გიორგი ცისკარაულმა გაზეთ „შირაქს“ აცნობა, კახეთის უშუს ფედერაცია დედოფლისწყაროში განთავსდება და ამიერიდან ცისკარაული კლუბი „არმია“-ს ნაცვლად კახეთის უშუს ფედერაციას უხელმძღვანელებს. ფედერაცია კოორდინირებას მთელი კახეთის მასშტაბით მოახდენს. უკვე შექმნილია ფედერაციის სიმბოლიკაც.

„უშუს ეროვნული ფედერაცია სპორტის სამინსტორდან და ოლიმპიური კომიტეტიდან აღიარებულია როგორც ერთადეთი უშუს ფედერაცია საქართველოში. მათ კახეთის რეგიონალური ფედერაციის სტატუსი დედოფლისწყაროს კლუბს მიანიჭეს, ამიტომ კახეთის უშუს ფედერაცია დედოფლისწყაროში განთავსდება,“ — აღნიშნავს ცისკარაული.

მწვრთნელის განმარტებით, უშუ არ არის აგრესიული სპორტის სახეობა და თითქმის არ არსებობს საშიშროება იმისა, რომ შეიძლება უშუისტმა სხვა ბავშვი დაჩაგროს, ან გამოიჩინოს აგრესია ვინმეს მიმართ. ჭეშმარიტი უშუისტი არასოდეს არის აგრესიის ინიციატორი რადგან ამ საბრძოლო ხელოვნების არსი მდგომარეობს შინაგან გაწონასწორებულობასა და სამყაროსთან ჰარმონიულობაში. „უშუისტი ხდება უფრო თავდაჯერებული და ამავდროულად თავმდაბალი. უშუ იერარქიული საბრძოლო ხელოვნებაა, რაც ხაზს უსვამს ურთიერთობის მნიშვნელობას და ასწავლის დამწყებ სპორტსმენებს პირველ რიგში მასწავლებლის და შემდეგ ერთმანეთის პატივისცემას. ერთი სიტყვით, შეგეძლოს თავდაცვა არ ნიშნავს იყო აგრესიული. დისციპლინის გარეშე შეუძლებელია მიაღწიო წარმატებას როგორც საკუთარ თავთან ასევე პროფესიონალურ სპორტულ ასპარეზზე. სირთულეების გადალახვა, დისციპლინა, ერთმანეთის პატივისცემა, ეს ყველა თვისება ყალიბდება მოზარდის ხასიათში და სპორტსმენი ხდება უფრო მშვიდი და თავდაჯერებული. შეძენილი ცოდნა, ხდება მისი განუყოფელი ნაწილი, არ იკარგება და თან ახლავს ყველგან სადაც არ უნდა იყოს ის. ამ სისტემაში ვარჯიში მას ხდის უფრო ამტანს, მატებს ენერგიას და ასწავლის დაბრკოლებების მარტივად გადალახვას. როდესაც ჯერ კიდევ მცირე ასაკში ბავშვს შესწევს ძალა დაიცვას თავი შესაძლო აგრესიისგან, ეს მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას უფრო მყარს ხდის. ის არ იქნება შეზღუდული ურთიერთობებში სხვა ბავშვებთან და არ იგრძნობს თავს დაჩაგრულად. თავდაჯერებულობა და თვითკონტროლი დაეხმარება მას სწორი არჩევანის გაკეთებაში ნებისმიერ სიტუაციაში. მშობლებმა აუცილებლად უნდა მისცენ შვილებს შესაძლებლობა, დაეუფლონ სპორტის ამ სახეობას,“ - აცხადებენ ფედერაციაში.

მთავარი მწვრთნელი და კახეთის ფედერაციის პრეზიდენტი ფედერაციის შექმნის წინაპირობაზე საუბრობს.

„2011 წლის მიწურულს მე და ილია დაიაურმა დავაარსეთ ორთაბრძოლების კლუბი „არმია“. ამ ხნის მანძილზე გვქონდა ბევრი მიღწევა და ბევრიც ჩავარდნა, ფინანსების არქონის გამო რამდენიმე მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე ვერ შევძელით გუნდი წაგვეყვანა. უკვე 2012 წელს კლუბი გავაწევრიანეთ კუნგ-ფუს და „უშუს“ ეროვნულ ფედერაციებში რადგან ორივე ფედერაცია ორთაბრძოლა-სანდას წესებით ატარებდა შეჯიბრებებს. 2012 წლის შემოდგომაზე უკვე ასე თუ ისე გამოცდილება დაგვიგროვდა ყველაფერი გვაინტერესებდა და ყველაფერს ვეცნობოდით სპორტის ამ სახეობაზე.

ერთხელაც, შემთხვევით, სამინისტროს წიგნში ჩავიხედე და წავიკითხე, რომ კუნგ-ფუს ფედერაცია საერთოდ არ იყო ეროვნული და ოფიციალური. ამიტომ გავწყვიტეთ კუნგ-ფუს ფედერაციასთან კონტაქტი და დავიწყეთ სპორტსმენების გაწევრიანება უშუს ეროვნულ ფედერაციაში (უშუ ოლიმპიური სპორტის სახეობის კანდიდატია და წელს იქნება განხილვა დამტკიცდება თუ არა უშუ ოლიმპიურ სპორტად).

ფედერაციის პრეზიდენტი საკმაოდ განათლებული და ჭკვიანი კაცია, გვერდში დაგვიდგა ყველაფერში, რაც საორგანიზაციო საკითხებს შეეხება. 2013 წლის 11 იანვარს შევიტანეთ განაცხადი კახეთის უშუს რეგიონალური ფედერაციის სტატუსის მინიჭების თხოვნით. ჩვენს გარდა კიდევ ორი კლუბი განიხილებოდა შესაძლო კანდიდატებად სოფელ მაჩხაანის და ლაგოდეხის კლუბი “მორიელი”. რადგან ჩვენი კლუბი გამორჩეული იყო ამ კლუბებს შორის, უშუს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა და გამგეობის სხდომამ ერთხმად მხარი დაუჭირა და კახეთის უშუს რეგიონალური ფედერაციის სტატუსი ჩვენ მოგვანიჭა. კახეთის უშუს ფედერაციის პრეზიდენტად დავინიშნე მე (გიორგი ცისკარაული) და ფედერაციის გენერალურ მდივნად ასევე ჩვენი კლუბის თანადამაარსებელი ილია დაიაური.

აქამდე სავარჯიშო დარბაზის პრობლემა გვქონდა, რის გამოც, ხშირად ვერ ვახერხებდით ვარჯიშსა თუ ცალკეული ტურნირებისთვის მზადებას. ზოგჯერ უამინდობის მიუხედავად ღია ცის ქვეშ გვიხდებოდა ილეთების შესწავლა. ამჯერად, ყოფლი რესარემონტო მკანტორის შენობაში დარბაზის გაკეთებაში გვერდში დაგვიდგა ბატონი ილია ჯინაშვილი, რის გამოც ფედერაციის სახელით დიდ მადლობას ვუხდით,“ — აცხადებს გიორგი ცისკარაული.

გაზეთ „შირაქის“ კითხვაზე, რამდენად შეძლებს ფედერაცია დედოფლისწყაროდან მთელი კახეთის რეგიონს გაუწიოს კოორდინირება, ცისკარაული პასუხობს, რომ შესაძლებელია: „სხვა რაიონებში კოორდინირება გავუწევთ სპორტის ამ სახეობით დაინტერესებულ პირებს და გავაწევრიანებთ უშუს ეროვნულ ფედერაციაში. მაქსიმალურად ვეცდებით, დავეხმაროთ და ორგანიზება გავუწიოთ ყველა იმ პროცედურას, რომლითაც კლუბებმა, შესაძლოა, რაიონული გამგეობებიდან დაფინანსება მიიღონ და დაბრკოლებების გარეშე გააგრძელონ მუშაობა,“ - გვითხრა ცისკარაულმა.

ფედერაცია მომავალში კვლავაც აქტიურობას გეგმავს.

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყაროელი სამბისტების წარმატება

ევროპის შესარჩევი ტურნირი სამბოში წარმატებული აღმოჩნდა სოფელ არხილოსკალოს გუნდის წევრის გოგა ხურციანიძისა (მწვრთნელი კახა წიკლაური) და სოფელ ზემო მაჩხაანის გუნდის წევრის ლევან კირკიტაშვილისთვის (მწვრთნელი ვაჟა მოსულიშვილი).

14 წლის გოგა ხურციანიძემ ჭაბუკთა შორის მეორე ადგილი დაიკავა და ამით საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრიც გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ზემო ქედელ სპორტსმენს შიდა ტურნირებში ადრეც არაერთხელ უასპარეზია, მაგრამ ასეთი მასშტაბის ჩემპინატში წარმატება არასდროს მოუპოვებია.

უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა სპორტსმენისთვის ევროპის შესარჩევი ტურნირი ტრამპლინი აღმოჩნდა. 19 წლის არბოშიკელ ლევან კირკიტაშვილს მსგავს ტურნირებში ადრეც არაერთხელ უასპარეზია. შარშან ლევანი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლის პრიზიორიც გახდა.

,,ორივე სპორტსმენს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის დიდი შანსი აქვს. ლევანი გამოცდილი და წარმატებული სპორტსმენია. არაერთხელ ვუსახელებივართ. რაც შეეხება ჩემს შეგირდს, სიამაყით მინდა ვთქვა,რომ ძალიან მონდომებული ახალგაზრდაა და მასზე დიდ იმედებს ვამყარებ.ახლა ჩვენს სამბისტებს თბილისში ნაკრების მწვრთნელები ავარჯიშებენ.

გოგასთვის ეს დიდი გამოცდილება იქნება, რადგან არხილოსკალოს სავარჯიშო დარბაზში სახარბიელო პირობები ნამდვილად არ არის”- განაცხადა სოფელ არხილოსკალოს გუნდის მწვრთნელმა კახა წიკლაურმა.

იასპარეზებენ თუ არა დედოფლისწყაროელი სპორტსმენები ევროპის ჩემპიონატზე, ახლო მომავალში გახდება ცნობილი.

გამგეობის პრესსამსახური

ი ყ ი დ ე ბ ა

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ:

571 55 99 51. 574 77 97 97

ფასი 4000 $

იყიდება 3-ოთახიანი კუთხის ბინა ჰერეთის ქ.N51 (ყოფილი სტალინის) „საქართველოს ბანკის“ თავზე. ფასი შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომერზე

790 97 21 57

სწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

2013 წლის 15 თებერვლიდან მუშაობას იწყებს საბუღალტრო და საგადასახადო საქმიანობის შემსწავლელი კურსები. მიღება შეზღუდულია. მსურველებმა მიაკითხეთ შ.პ.ს. „ლაშარი+“-ს.

591 22 44 95 გენადი

577 38 74 54 ნატო

593 28 11 46 ნინო

მისამართი: კოსტავას №44 (გამგეობის შენობა) I სართული, ოთახი №4)

მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი“ იწყებს „ხსოვნის წიგნი“-ს გამოცემას, სადაც შეგიძლიათ თქვენი გარდაცვლილი წევრისა თუ ოჯახის ახლობლის მოხსენიება.

„ხსოვნის წიგნში“ გარდაცვლილის ფოტოსურათისა და შესაბამისი ტექსტის განთავსების მსურველებმა გთხოვთ მოაკითხოთ გაზეთ „შირაქის“ რედაქციას. ფასი ხელმისაწვდომია.

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

შაბათი 09. 02	კვირა 10. 02	ორშაბათი 11. 02	სამშაბათი 12. 02	ოთხშაბათი 13. 02	ხუთშაბათი 14. 02	პარასკევი 15. 02
დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე
8° 1°	6° 1°	3° 2°	4° 3°	4° 2°	4° 2°	6° 4°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „საშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K